

## ეკლესია - ვენახი

### „მე ვარ ვენახი და თქუენ რტონი” (ითან. 15.5).

ქრისტეს მორწმუნები თითქოსდა ორ ჯგუფად იყოფიან: ერთი იესუ ქრისტესაგან მიწიერი ცხოვრების კეთილდღეობას ელიან, მეორენი - მარადისობაში სულის ცხონებას. ერთი ეკლესიას ერთგვარ ორგანიზაციად აღიქვამენ, თუმცა სრულყოფილ, ღმრთაებრივ, მაგრამ მაინც ორგანიზაციად, რომლის წევრები (როგორც ეს სხვა ნებისმიერ ორგანიზებულ კავშირში ხდება) ერთმანეთთან ერთობლივად მიზნებით, მრწასითა და შეხედულებებით არიან დაკავშირებულნი, - ორგანიზაციად, რომლის ძირითადი დანიშნულება მიწიერი ცხოვრების კეთილდღეობაა, მასში სიმშეიდის, წესრიგის, ამაღლებული იდეალების, ადამიანთა საზოგადოების სრულყოფის შემოტანაა. მთელი მათი მოღონდინი ძირითადად მიწიერისა და დროებითისაკენ არის მიმართული.

მორწმუნეთა მეორე ნაწილი ადამიანის მიწიერ ცხოვრებას უმნიშვნელო, დაუსრულებელი მარადისობის წინამდებარე ეტაპად მიიჩნევს. მორწმუნეთა პირველი ჯგუფისთვის - ქრისტე არის წინასწარმეტყველი, მასწავლებელი, დედამიწაზე ბედნიერი, მშვიდობისა და ერთობის მეუფების დამამკვიდრებელი. მეორე ჯგუფისათვის - იესუ ქრისტე - არის თესლი, საწყისი, წყარო და თავი ახალი, მის განხორციელებმდე არარსებული ორგანიზმისა, მფლობელი ახალი, ადამიანთათვის აქამდე უცნობი, არსობრივად სხვაგვარი ცხოვრების წესისა. ეს არის უმთავრესი ქრისტიანობაში, სხვა დანარჩენი თითქოსდა მეორეხარისხოვანია და ამ ძირითადის მხოლოდ ბუნებრივ დანართის შეადგენს. მაშ, ასე, - ქრისტეს ეკლესია არა მხოლოდ “ორგანიზაცია” - იგი ცოცხალი ორგანიზმია, სხეული ქრისტესი, სულიწმიდით განმსჭვალული, რომლის თავი - ქრისტეა.

ამ ცნების განმარტებისათვის მოყიყვანთ საყურადღებო ანალოგიას: თავად უფალი, როდესაც თავის თავს ვენახს ადარებს, ხოლო მისდამი მორწმუნეთ - რტოებს, გვიჩვენებს სახეს იმისა, რაც ხორციელდება მის ეკლესიაში. ვენახის მსგავსია ეკლესია - ეს ქრისტეს სხეული. მოდით დავაკვირდეთ, რა ხდება ცოცხალ ვრახში, როდესაც ის იწყებს ზრდას? რაღაც ძალა მასში, რომელსაც ჩვენ „სიცოცხლეს“, „მცენარეულ სულს“ ვუწოდებთ - მიწისაგან იღებს უსიცოცხლო, არაორგანულ ნივთიერებას და თავის სიცოცხლეს ანიჭებს, ორგანულსა და ცოცხალს ხდის მას. ასევე ეკლესიაშიც - ძალი ქრისტესი იღებს უსიცოცხლოს (ე.ი. მხოლოდ ფიზიკურად ცოცხალს), შეიწოვს თავის სხეულში და უბოძებს მას უზენაესი წესის ცხოვრებას - მარადიულ ცხოვრებას, ხრწნადს გარდაქმნის უხრწნელად (I კორ. 15. 42-53). ეს მსგავსია იმისა, როგორც ადამიანის ორგანიზმი ღებულობს მცენარეულ საკვებს, და ის, რაც ცოცხლობდა მხოლოდ მცენარეული სიცოცხლით, ადამიანში შეწოვის შემდეგ, იწყებს ადამიანური ცხოვრებით არსებობას, ხოლო ადამიანის ორგანიზმი მის მიერ უკვე შეთვისებული მცენარეულით ცხოვრიბს.

ასევე ქრისტეს სხეულის ნაწილად ქცეული ადამიანიც იწყებს ცხოვრებას ქრისტეში, ხოლო ქრისტე იწყებს ცხოვრებას მასში. და აი: ჩვენი სხეულის ყოველი უჯრედი დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობს, მაგრამ ამ ცხოვრების გარდა მათ კიდევ სხვა ცხოვრებაც გააჩნიათ - ის, რომელსაც ჩვენი პიროვნული სული ანიჭებს მათ.

ვინაიდან ყველა ეს უჯრედი ჩვენში ცხოვრობს, ხოლო ჩვენ მათში, მათ საერთო ცხოვრება და ურთიერთებავშირი გააჩნიათ. თუ ჩვენ გარდაფიცვლებით, მაშინვე უსულო სხეულში ეს უჯრედები, რომლებიც თუმცა ჯერ კიდევ ინარჩუნებენ მცირე ხნით თავიანთ სიცოცხლეს, კარგავენ ჩვენში სიცოცხლეს და ურთიერთშორის კავშირს.

და აი მოციქულიც თითქოსდა ასე ამბობს: “როდესაც მე ქრისტეს სხეულის ნაწილი შევიქმენი, თუმც ცოცხალი ვიყავი უჯრედის მსგავსად, შეიცვალა ჩემი ცხოვრების ცენტრი, მისი აზრი და მნიშვნელობა”, “და მე კი აღარ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში” (გალატ. 2.20). ჩვენი სხეულის უჯრედს რომ ჩვენი პირადი ადამიანური ცხოვრების შეცნობა და გაგება

შეეძლოს, მაშინ, ალბათ, ასე იტყოდა: “მე ცოცხალი ვარ, მაგრამ ვცოცხლობ უკვე არა მე, არამედ ჩემში ცოცხლობს ეს ადამიანი”. და მხოლოდ იმ უჯრედს შეუძლია, მთელი ორგანიზმის ცხოვრება გაიზიაროს, რომელიც უარს იტყვის თავის დამოუკიდებელ ცხოვრებაზე”. “რომ იხ-სნა სული თვისი, უნდა წარიწყმიდო იგი” (ლუკ. 9.24).

სიცოცხლე რომ მოიპოვო - თავდაპირველად უარი უნდა თქვა ინდივიდუალურ ცხოვრებაზე-იმისათვის, რომ მკვდარმა ნივთიერებებმა, მიწამ, მტვრემა სიცოცხლე მოიპოვონ, აუცილებელია, რომ მათ შეწყვიტონ “სიცოცხლე” თავიანთი პირვანდელი არსებით; მათ უნდა იცხოვრონ ვენაბში, უნდა იცხოვრონ ვენაბით.

უფალი ბრძანებს, რომ იგი ახალი არსების, ახალი ორგანიზმის (და არა ორგანიზაციის) საწყისია, რომ იგი თავია ამ არსებისა, ხოლო მისი მორწმუნები - მისი მიმდევრები - ამ ორგანიზმის წევრები არიან; და როგორც მას აქვს თავის თავში უხრწნელი სიცოცხლე, ასევე მხოლოდ მის ნაწილებს შეუძლიათ იქნიონ მარადიული ცხოვრება: „რომელსა პრწმენეს ძე, აქუნდეს ცხოვრებამ საუკუნომ, ხოლო რომელი ურჩ იყოს ძისა, არა იხილოს ცხოვრებაა” (იოან. 3.36), “მე ვარ ვენაზი, და თქვენ რტონი; რომელი დაადგრეს ჩემ თანა, და მე მის თანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი... უკუეთუ ვინმე არა დაადგრეს ჩემ თანა, განვირდეს გარე, ვითარცა ნასხლევი და განხმეს” (იოან. 15. 5-6). “მე ვარ აღდგომად და ცხოვრებამ, რომელსა პრწმენეს ჩემი, მო-დათუ-კუდეს, ცხონდეს და ყოველი რომელი ცოცხალ არს და პრწმენეს ჩემი, არა მოკვდეს იგი უკუნისამდე...” (იოანე 11. 25-26).

ქრისტე თავის მორწმუნეთ “ორგანიზაციაში” როდი იზიდავს, არამედ იერთებს თავის თავთან მათ, თავის ცხოვრებაში შეჰქაეს ისინი - მსგავსად ვენაბისა, რომელიც მიწისაგან იწოვს წვენს. აქ აღსრულება გონებისათვის მიუწვდომელი და მხოლოდ რწმენით მისაღები უდიდესი საიდუმლო. მაგრამ ყოველივე ეს რა იდუმალებით მოცული და ბოლომდე მიუწვდომელია, რაც ხდება ზრდად ვაზში, როდესაც ის შეუხედავი მიწისაგან იღებს მოლეკულებს და მათგან ქმნის მაგარ ღეროს, განავრცობს ხეიარა რტოებს, გამოაქვს ყვავილი, მტევნებს ავსებს ტკბილი წვენით - და ყოველივე ეს სასწაულებრივად იძერწება მტევნისა და უსიცოცხლო ნივთიერებისაგან, რომლებსაც ჩვენ ფეხქვეშ ვთელავთ. მაგრამ ეს “პატარა საიდუმლოება” სახეა საიდუმლოებათა საიდუმლოებისა.

და თუ ჩვენ სწორედ აი ასე უყურებთ ეკლესიას, როგორც ცოცხალ ორგანიზმს, მაშინ გაგვიადვილდება გაგება იმისა, თუ რა ხდება დღეს მართლმადიდებლურ სამყროში; უფრო ადვილად გავიგნებთ გზას თანამედროვე ქაოსსა და წყვდიადში, რომლებიც უფრო და უფრო ამძიმებენ მორწმუნეთა სულებს. მაშინ შევძლებთ დავძლიოთ და თავი დაგაღწიოთ იმ ცდუნებებს, რომლებიც ცდილობენ ჩრდილი მიაყენონ ეკლესის, ზოგჯერ კი მას სიკვდილის ზღურბლზე მყოფად წარმოგვიდენენ. ამჟამად ხალხი ხშირად ბრკოლდება იმით, რომ მართლმადიდებელი ეკლესის თანამედროვე წარმომადგენელი აღარ გვანან ძეველ ქრისტიანებს, და ამიტომ ჰერიათ, რომ ეს აღარ არის ის ძველი ეკლესია, რომელიც იქცე ქრისტემ დააფუძნა დედამიწაზე.

მაგრამ, თუ ჩვენ ვაღიარებთ, რომ ეკლესია არაა ქრისტიანული პატია, კავშირი ან ორგანიზაცია, არამედ ესაა ტაძარი, რომელშიც ცხოვრობს სულიწმიდა, ქრისტეს სხული, ცოცხალი ორგანიზმი და მორწმუნეთა დიდი უმრავლესობისათვის ესაა ცხოვრება ქრისტეში - მაშინ ეს გაუგებრობა ყოველგვარ აზრს დაკარგავს. ასეთი შექედულებისას - თითოთ მინიშნება ცალკეულ უღირს ქრისტიანზე, თუგინდ მღვდელსა თუ მღვდელმთავარზე, ანდა ეკლესის ეპისკოპოსთა დიდ ჯგუფზე, რომელთაც ბევრ რამები გადაუხევეს მართლმადიდებლობისაგან... - ეს იგივე იქნება, ტოტებგაშლილ ხესთან რომ მიხვიდე, მის ტანზე არსებულ ფუღუროზე მიუთითო და თქვა: თქვენ ამტკიცებთ, რომ ხე ცოცხლობს - რომ იგი ცოცხალი და რეალურია, მაგრამ შექედეთ, აქ ხომ ნაფშვენებით ამოუსებული ცარიელი ადგილია”...

ან მოვიყენოთ სხვა სახის მაგალითი: ადამიანის სხეულზე “ავთვისებიანი სიმსიცე” ამიზარდა - ასე დაადგინეს ექიმებმა. იბადება კითხვა: ადამიანი ცოცხლობს მთელს სხეულში. მის სელსა და ფეხშიც სიცოცხლა, - ცოცხლობს კი ადამიანი ამ “სიმსიცეში”? სანამ “სიმსიცე” მგრძნობიარება და ადამიანი გრძნობს მასში ტკივილს, მანამდე შეიძლება ითქვას - იგი მასში ჯერ კიდევ ცოცხლობს, მაგრამ თუ მგრძნობელობა დაკარგულია - იგი უკვე აღარ არის სხეულის ნაწილი. ამგვარად, თუ ვინმე მორწმუნეთავაზ აღარ ისმენს ძმათა და მამათა დარიგე-

ბებს, მაშინ იგი ხდება, “ვითარცა მეზუერე და წარმართი” (მათ. 18. 17), როგორც ვაზისაგან მოკვეთილი რტო.

მაგრამ ასე არ იქნებოდა, ეკლესია მხოლოდ ორგანიზაცია რომ ყოფილიყო. მაშინ - ეკლესიას “ხელმძღვანელთა” ჭეშმარიტი სულის მცირედი გადახრის შემთხვევაშიც კი, “ორგანიზაცია” უმაღ შეიცვლილა თავის სახეს, წესებს, გაგებას, მიზანსა და დანიშნულებას. რაოდენ ამაღლებული იდეალები და მიზნებიც არ უნდა ასულდებულებდეს ასეთ “ორგანიზაციას” - მისი წევრი მაინც უამრავი საცდურის პირისპირ სრულიად დაუცველი, მხოლოდ ამაღლებული ცხოვრების მეოცნებედ რჩება, რომელსაც არ ძალუს მასში შესვლა (ძველი ელინური ფილოსოფის მსგავსად). მაგრამ საქმე სულ სხვაგვარადაა.

მოდით წარმოიდგინოთ, რომ ყოველი ასი ეპისკოპოსიდან მართლმადიდებლობას განუდგება ოთხმოცდაცხრამეტი (ასეც იქნება ანტიქრისტეს უკანასკნელი ცოტნების უამს), ხოლო ყოველი ათასი ქრისტიანიდან სარწმუნოებას უარყოფს ცხრასოთხმოცდაცხრამეტი - მერე რა? ყოველივე ეს არ შექმნებოდა ეკლესის არსებას, იგი როგორც იყო სხეული ქრისტესი, ისევე დარჩებოდა. წუხილი მოგვიწევდა მხოლოდ დალუპულთა და განდგომილთა გამო. თუ ქრისტეს ეკლესია ცოცხალი ორგანიზმია, მაშინ არ შეიძლება დავადანაშაულოთ იგი, როდესაც რომელიმე კლირიკოსთაგანი თუ ერისკაცი, ბერი თუ მღვდელმთავარი არ ცხოვრობს თავისი წოდების შესაფერისად ისევე როგორც არ შეიძლება დავადანაშაულოთ მაცხოვარი იმის გამო, რომ მას უახლოვდებოდნენ მეზვერენი, ცოდვილნი და მრუშნი. ულირს მსახურთა გამო ეკლესის გამკიცხველნი იმ იუდეველებს ემსგავსებიან, რომლებიც ქრისტეს ადანაშაულებდნენ, სიტყვებით: “აპა კაცი... მეგობარი მეზუერეთა და ცოდვილთა” (მათ. 11. 19). დიახ, - ქრისტეს მიმდევარი მეზვერენი და ცოდვილნი “სნეულნი” იყვნენ - მაგრამ განა შეიძლება დავადანაშაულოთ ექიმი იმის გამო, რომ მას ირგვლივ სნეულნი ახვევიან და არა ჯანმრთელნი?

ამრიგად: როგორც ერთია და უცვლელი მართლმადიდებლობა, მიუხედავად დროის ცვალებადობისა და ისტორიული მოვლენებისა, ასევე ეკლესია, - სხეული ქრისტესი ერთია, იგი ყოველთვის ერთი და ერთიანი იყო და ცვალებადობა არ შეუძლია, სნეულთა რაგინდ დიდი რაოდენობაც არ უნდა მიერთოს და შეეხოს ამ სხეულს, ჭეშმარიტების მთლიანობა ყოველთვის არსებობდა და იარსებებს მასში. ასევე მზეც, სულაც არ კარგავს თავის ძალასა და ცეცხლოვან ბრწყინვალებას იმის გამო, რომ მისი სხივები ხშირად ბნელ, პირქუშ და არა კეთილსახიერ ნივთებს ეცემ. ასევე - ვაზიც, არ კარგავს თავის სილამაზეს და ნაყოფის სიტყობოს იმის გამო, რომ მისი ფესვები მიწაში ნაკელს ან სიდამპლეს ეხება: იგი მხოლოდ მისი სხეულისთვის შესატყვის ნივთიერებებს ისრუტავს, უცხო კი მის მიღმა რჩება...

ახლა ისმის კითხვა: ვინ შედის ეკლესის სხეულში, ვისგან შედგება ეკლესია? ან უფრო კონკრეტულად: იმყოფება კი ესა თუ ის მონათლული ქრისტეს სხეულში? მაგრამ ეს ხომ ქრისტეს გარდა არავისთვის არის ცნობილი. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ვხედავთ რომ ის იმყოფება “ორგანიზაციაში”, მაგრამ იმყოფება თუ არა იგი ქრისტეს სხეულში - არ ვიცით. საღმრთო ლიტურგიის დროს ჩვენ წმ. საიდუმლოების მრავალ მაზიარებელს ვხედავთ, მაგრამ რა შეგვიძლია ვთქვათ თოთოეულ მათგანზე? ჩვენ დავინახეთ, რომ ის ადამიანი მივიდა ბარძიმთან, მაგრამ ეზიარა თუ არა ქრისტეს სისტოსა და ხორცს, არ ვიცით. თუ ადამიანი არ იყო ღირსი ზიარებისა, სულითა და გულით არ შეუერთდა უფალს იმ მომენტში, მაშინ იგი სიწმიდის უზიარებელი რჩება, ხოლო სიწმიდე მისი უწმინდურობის არათანაზიარია. ასეთმა ადამიანმა ამ სიწმიდესთან მიახლებით როდი შეიძინა სიწმიდე, არამედ ჭამა და სკა “დასასჯელად თავითა თვისისა,” (როგორც ეს ნათქვამია ბასილი დიდის ზიარების წინა ლოცვაში); სიწმიდე მასში გადის, როგორც მზის სხივი ბნელ ადგილებში და არაა თანაზიარი მისი წყვდიადისა.

ასე, რომ არც ერთ ჩვენგანს არ შეუძლია თქვას რომელიმე ადამიანზე - რომ ის ნამდვილად ცხონდება, თუგინდ ვხედავდეთ მას ტაძარში (თუ, რასაკვირველია, მასზე არ არის ღმრთის აშკარა განცხადება, როგორც ამას ვხედავთ ზოგიერთ წმიდა მამასთან). ხშირ შემთხვევაში ეს საიდუმლოა, პირადი საიდუმლოა ღმერთისა და ადამიანს შორის.

სულის ცხონების საწინდარია არა გარეგნული არაბუნებრივი მოკრძალება და ღმრთისმოსაბა, არამედ მაღლი ღმრთისა სულში მოხვეჭილი და მიღებული რწმენითა და სარწმუნოების საქმეებით. იგი უკვე ჰქმნის მორწმუნებში როგორც თავის ნაყოფს - ზნელბას, ღმრთისმოსა-

ობას, სიწმინდეს - არაპირფერულს. ჩვენ არ შეგვიძლია მხოლოდ გარეგნული მოქმედებით და- ვადგინოთ - მოიხექტა კი ადამიანმა ეს მადლი და უკვე რამდენად ცხოვრობს იგი ქრისტეში, ქრისტე კი მასში, ანუ - რამდენად არის ეკლესიაში. ეკლესის ხელმძღვანელს, რომელიც თავი- სი დაუცხრომელი ღვაწლით იპყრობს უზრადღებას, შესაძლოა გამორჩეული ადგილიც უჭირავს ეკლესიაში - როგორც “ორგანიზაციაში”, მაგრამ არის კი იგი ეკლესიაში, როგორც ორგანიზ- მში? - ეს კიდევ საკითხავია.

უძლურ, ზოგჯერ დაცემულ, ცოდვის ჩამდენ, ქრისტეს მცნებების დროდადრო დამრღვევ ქრისტიანთა ხილვისას - არ უნდა განვიკითხოთ ან ეკლესისაგან განყენებულად არ უნდა მივიჩ- ნიოთ ისინი. ქრისტეს ეკლესია არა ჯანმრთელთაგან, არამედ სწორება შედგება. როგორც ეფრემ ასური თავის “სინანულის” სიტყვაში ამბობს: “მთელი ეკლესია შედგება მონაწილთაგან, როგორც ეს გონიერი ადამიანისათვის არ არის ძნელი დასანახი, და მათგან ვინც იღუპება, რო- გორც ამას ბრძნება ღრმა აზროვნება წვდება.” (“თხელებანი” გ. 1995, ნაწილი 4, გვ. 142). გასაგებია, რომ წმიდა მამა იმას როდი გულისხმობს, რომ ეკლესიაში ყველა იღუპება და არავინ ცხონდება, არამედ იმას, რომ ქრისტიანები ყოველთვის თვალწინ ხედავენ თავიანთ ცოდვებს, თავიანთ განდგომას ღმრთისაგან, რომ ისინი არ ელიან ცხონებას თავიანთი კეთილი საქმეების, თავიანთი ცრუ მართლობის გამო, არამედ მხოლოდ, მონაწილ ცოდვილთა შემწყა- ლებელ ყოვლად-მოწყალე ღმრთისაგან.

წმ. ეფრემი იქვე ამბობს: “იქ (ქრისტეს სამეფოში) აგაზაკიცაა, რომელმაც მიიტაცა სამოთ- ხე. იქ მძვინვარე მგლებიც არიან, რომლებიც ქრისტეს სამწყსოში ცხვრის ფარად გადაიქცნენ, იქ მძვინვარე ფრინველებიცაა, რომლებიც მტრედებად გადაიქცნენ, იქ სხვადასხვა ღვარძლი- ცაა, რომელიც რჩეულ თესლად გადაიქცა”. შემდევ იგი ქრისტეს მიმართავს: “ამ ქვეწად შენი მოსვლის მთელი გზა მონაწილთათვის განვლე. მთელი შენი სწავლება, უფალო - უდიდესი იმე- დია ცოდვილთათვის... წარწყმედილი ცხვრისათვის შენმა სიუცვებ მიგიზიდა შენ მკვდართა სამ- ყოფელში და აღმოიყანე იგი ადგილთაგან სიკუდილისათა” (გვ. 143).

მაშ ასე: ჩვენ, რომელთაც “დვირე გვაქეს თვალში” რა შეგვიძლია ვიცოდეთ “წარწყმედილი ცხვრის” შესახებ, როგორ განვსაჯოთ იგი, შეგვიძლია კი დავინახოთ რა სასწაულებრივად აღ- მოყავს ქრისტეს ის ადგილისაგან სიკუდილისა?

დედამიწაზე ჩვენი ცხოვრების აზრი შემდეგშია: ძალი ქრისტესი, ძალი მხსნელისა იზიდავს ქრისტეში მსოფლიოს “ნაწილაკებს” და “მოლეკულებს” იმსათვის, რათა უბოძოს მათ უზენა- ესი, უხრწნელი, ღმრთაებრივი ცხოვრება. მაგრამ ზოგიერთი “ნაწილაკი” სიყვარულით თან- ხმდება ამაზე და ინდივიდუალიზმზე უარის თქმით - მათი პიროვნება ისხნება ღმრთაებრივი- სათვის, სხვები ეწინააღმდეგებიან და არ სურთ თავის მესთან განშირება, ავიწროებენ, ზღუდა- ვენ თავის პიროვნებას ხრწნადში და მარხავენ თავიანთ ტალანტს მტკვრში. უხრწნელების, ანუ მარადიული ნეტარების მოხვეჭისათვის ადამიანს ერთი გზა გააჩნია და სხვა გზა არ არსებობს: ის ქრისტეს სხეულის ნაწილი უნდა გახდეს. ვინც უარი განაცხადა ამაზე, ამით მან თავის თავზე მოიწია ღმრთისაგან, მის სიკეთეთაგან მარადიული განმორება, ე.ი. - მოიპოვა თავისა თვისისა სასჯელი: “და ეს არს სასჯელი, რამეთუ ნათელი მოვიდა სოფლად, და შეიყვარეს კაცთა ბნე- ლი, ვიდრე ნათელი” (იოან. 3.19). “რომელსა არა რწმენს, აწვე დასჯილ არს, რამეთუ არა ჰრწმენა” (იოან. 3.18).

თუ ჩვენ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას, მაშინ გასაგები ხდება საიდუმლოებებისა და სხვა და- ნარჩენი წეს-ჩვეულებების დანიშნულება ეკლესის ცხოვრებაში. თავად ეს ღმრთაებრივი აქტი, უზენაეს ცხოვრებასთან თანაზიარება საიდუმლოდ იწოდება. იგი სრულდება მღვდლების მეშვე- ობით, მაგრამ თვით ქრისტეს მიერ: მღვდლი შესაძლოა არ იყოს ღირსი თავისი მაღალი წოდე- ბისა, მაგრამ რადგან იგი მხოლოდ ღმრთის მაღლის მსახურია - ქრისტე მისი მეშვეობითაც ას- რულებს ადამიანთა სულების თავის სხეულთან შეერთებას. ასეც შეგვიძლია ვთქვათ: ეკლესია, როგორც ცოცხალი როგორიზმი, რომელიც თავისი სხეულის მშენებლობისთვის მასალას ამა- სოფლიდან იღებს, ვერ იარსებებს ხილული ორგანიზაციის გარეშე ამქვეყნად - მაგრამ ეს ერთი და იგივე არ გახლავთ. მაგალითად, ვაზშიც სიცოცხლეა, მაგრამ არც მასშია ყოველივე ცოცხა- ლი. რაღაც შეიძლება მას ზრდაში შეუწყოს ხელი, მაგრამ თავად გახდეს უცხო მისი სიცოც- ხლისა: ხშირად ფესვის რაღაც ნაწილი კვდება, ვენაზე გამხმარი და უსიცოცხლო ქერქი შრევ-

დება, ვენახს უნაყოფო რტოები ეკვეთება. ეკლესიაშიც ბევრი, რაც იყო მისი თანაზიარი როგორც “ორგანიზაციისა”, შეიძლება აღარ გახდეს ეკლესის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის თანაზიარი, შესაძლოა გახმეს, მოკვდეს, მოიკვეთოს და რაოდენ ტრაგიულია, რომ მრავალი ჩვენგანი, ეკლესის საიდუმლოებათა გარეგნულად შეძსრულებელი, წმიდა საიდუმლოთა ბოძებული ძალისა და ცხოვრების მიღმა დავრჩებით!

ზემოთ აღწერილი ეკლესის ცნების განხილვისას კიდევ ერთი საკითხი ირკვევა: სწორედ იმის გამო, რომ ეკლესია - ცოცხალი და უმაღლესი არაქეყნიური, ზებუნებრივი წესის ორგანიზმია, ამიტომ მისი ცხოვრება ზებუნებრივი მოვლენების თანხლებით მიმდინარეობს, იმაზე აღმატებულით, რაც ბუნებრივია ამასოფლისათვის. მაშასადამე, ეკლესიაში აღსრულებული სასწაულები არა რაღაც გარეგნული მოვლენებია მასთან მიმართებაში, არა ზებუნებრივი ძალის მიერ მოწყობილი ეფექტური ხაფანგია ხალხის ეკლესიაში მოსაზიდად, არამედ - განცხადებაა, ზოგჯერ ამ ხილულ და ხორციელ საფარველში ეკლესის მაღლმოსილი, საიდუმლო და ნათლისმატარებელი ბუნების გამოვლენაა, ეს - თითქოს აღმომავალი მზის წითელი სხივების ანარეკლია მთების მაღალ მწვერვალებზე. ასევე აღუზილა მაცხოვარმა სულიერი თვალები თაბორის მთაზე მოციქულებს და მათ იხილეს ის ნათელი, რომელიც მუდამ გარდამოდის ქრისტესავან.

მაგრამ ამ სასწაულებს, რომლებიც ეკლესის ზებუნებრივ ბუნებას გვიჩვენებენ, შეუძლიათ მხოლოდ შეარყიონ მიწიერი მატერიალისტი, მცირედმორწმუნე ადამიანის შეხედულება, აიძულონ კიდევ ერთხელ თავიდან გადახედოს თავის წარმოდგენებს ცხოვრებაზე, მაგრამ მათ არ ძალუბთ მისი, თვით ეკლესიურ ცხოვრებაში შეყანა. იესუ ქრისტესადმი სიყვარულის გარეშე შეუძლებელია, ქრისტეს ეკლესიაზე სწავლების მიღება. სახარებიდან ჩანს, რომ უფალი სწორედ მისდამი სიყვარულზე აფუძნებს თავის ეკლესის: იგი ეკითხება პეტრე მოციქულს - “გიყვარ მე?” , სიყვარულის აღიარების შემდეგ ნებას რთავს დამწყსოს მისი სამწყსო (იოან. 21. 15,16). და შეუძლებელია, რომ ამ სიყვარულის მქონე ადამიანმა, ადრე თუ გვიან არ მიღოს ეკლესიური სწავლება და ეკლესის შესახებ სწავლება.

როდესაც ვაზი ფესვებით ერთნაირი თვისების მქონე ნივთიერებებს ეძებს, იგი მათ მხოლოდ წყალთა შეზავებულს ისრუტავს. ასევე ჩვენი სულებიც: კეთილი აზრებისა და სურვილების მიუხედავად, ვიდრე ისინი მშრალნი და მხოლოდ აზრობრივად “კეთილნი” არიან, და არიან შერბილებულნი, ქრისტესთან სიყვარულის სულით შერწყმულნი - არ აღიყვნებიან ქრისტეს სხეულის ცხოვრებაში. უნაყოფოა კეთილი აზრები, თუ ისინი არ არიან დაკავშირებულნი კეთილ გრძნობებთან. ასევე წმ. ლიტურგიაზე ეკლესია მდუღარების სახით უფლისადმი წმიდათა სიყვარულს განასახირებს, როდესაც მღვდელი ბარძიში ქრისტეს წმიდა სისხლსა და ხორცს მდუღარებას ამატებს, წარმოთქვამს: კურთხეულ არს მდუღარება წმინდანთა შენთა”... “მდუღარება სარწმუნოებისა აღვსებად სულითა წმიდითა”... ცოტა ხანში მაზიარებელნი გრძნობენ ამ “მდუღარებას” ქრისტეს სისხლში - ეს იმის სიმბოლოა, რომ ღმერთთან ერთობა შეუძლებელია მხურვალე რწმენის, ანუ მხურვალე სიყვარულის გარეშე.

... “კურთხეულ არს მდუღარება წმინდანთა შენთა” “რამეთუ არარად სხუად დავიდევ გულსა ჩემსა უწყებად თქუნდა, გარნა ქრისტე იესუ და ესეკუა ჯუარ ცმული” (1 კორ. 2.2)... “ხოლო ცხოველ არღარა მე ვარ არამედ ცხოველ არს ჩემში ქრისტე” (გალ 2,20). “რომელმან მოიპოვოს სული თვისი, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარწყმიდოს სული თვისი ჩემთვის, მან პოვის იგი” (მათ. 10.39) “რამეთუ ქრისტე იესუს მიერ არცა წინადაცუეთილებად რას შემძლებელ არს, არცა წინადაუცუეთილებად, არამედ სარწმუნოებად, სიყვარულისაგან შეწევნილი” (გალ. 5.6) ... “სიყვარული არასადა დავარდების, გრია თუ წინასწარმეტყველებანი განქარდნენ, ანუ თუ ენანი და-ვე-სკრენ, გრია თუ მცნიერებანი განქარდნებ!” (1 კორ. 13,8) ... - ყოველივე ეს იმაზეა ნათქვამი, თუ როგორ ვიყოთ ქრისტეს სხეულში, როგორ დავიწყოთ ეკლესიური ცხოვრება, როგორ გავძეტოთ ნაწილნი ღმერთკაცობრივი ორგანიზმისა, როგორ ვიქცეთ “ვენახს რტოლ” და გამოვილოთ მრავალი ნაყოფი.

თავისთავად ირკვევა: როდესაც სულები სიყვარულით ერთიანდებიან ერთ ცოცხალ ორგანიზმი, უარყოფენ საკუთარ მეს და მოიხვეჭებ ახალ კათოლიკე ცხოვრებას ქრისტეს სხეულში, მაშინ ქრისტეს მიმართ სიყვარული, მაღლმოსილი ერთობით შეაურთებს მათ, როგორც ღმერ-

თთან, ასევე ერთმანეთთან. წმიდა მამები ღმრთისა და მოყვასისადმი სიყვარულს ადარებენ წრედს, რომლისაგან სხივები ყველა მხარეს მოეფინება: რადიუსის ზოლს თუ გავყვებით ცენტრის (ღმერთის) მიმართულებით, მით უფრო ნაკლებია განყოფა სხვა სხივებთან (მოყვასთან) და ბოლოს - მის შუაგულში იგი გაუჩინარდება. აი, ეს - ერთიანი ეკლესია! და ეს ერთობა იმდენად ძლიერია რომ არ არსებობს ძალა მისი დამარღვეველი, როგორცაა ნათქვამი ერთგული სულის მიერ: “ვინ განმაშორეს ჩვენ სიყვარულსა მას ქრისტესა: ჭირმან ანუ იწროებამან, დევნამან ანუ სიყმილმან, შიშულოებამან ანუ ურვამან, ანუ მახვილმან?... არცა სიკუდილმან. არცა ცხოვრებამან, არცა ანგელოზთა, არცა მთავრობათა, არცა ძალათა, არცა ამან სოფელმან, არცა სიმაღლეთა, არცა სილრმეთა, არცა სხუამან დაბადებულმან შემძილოს ჩვენ განკუნებად სიყვარულსა ღმრთისასა, რომელ არს ქრისტე იქსეს მიერ უფლისა ჩუენისა” (რომ. 8. 35-39).

ქრისტე - ჰეშმარიტებაა. ეკლესია ქრისტეს სულით ცხოვრობს, თითქოსდა “სულმდგმულობს” ჰეშმარიტებით, ამიტომაც ყველა, ვინც კი სიყვარულის სულით “შერწყმული” შთაისხმება ეკლესის სხეულში, ცხოვრობს მისი ცხოვრებით - იგი ცხოვრობს და “სუნთქავს” ჰეშმარიტებით. სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ ეკლესია კათოლიკეა და უცდომელი თავის მთლიანობაში, ანუ ჰეშმარიტება მისაწვდომია, როგორც მთელი ეკლესიისათვის, ასევე ყველა მისი ჰეშმარიტი წევრისათვის, და აქ მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული - რამდენად ვუღებთ გულს ჰეშმარიტებას. ჰეშმარიტება ცოცხლობს და განცადდება იქ, სადაც “გული მათნი, თანაშეტყუებული სიყვარულით ყოვლისა მიმართ სიმდიდრისა, გულსაცხებისა, გულისხმის-ყოფისა მეცნიერად საიდუმლოსა მას ღმრთისასა და მამისასა და ქრისტესა, რომელსა შინა არიან ყოველი საუნცვენი სიბრძნისანი და მეცნიერებისანი დაფარული” (კოლას. 2.2-3).

ჰეშმარიტების ფლობა, მისი უცდომელობა წარმართვა (უცდომელობა) არ ეკუთვნის არც ცალკეულ პიროვნებას, არც ეკლესის მღვდელმთავრებს და არც მღვდელმთავრთა კრებას, არამედ მთლიან ქრისტეს ეკლესის, რომელიც ავლენს თავის თავს საეკლესიო კრებაზე. ყოველ ჩვენგანს ჰეშმარიტება გაგვაჩნია იმდენად, რამდენადაც მონაწილეობას ვლებულობთ ეკლესის ცხოვრებაში. ეს მონაწილეობა გვენიჭება იმდენად, რამდენადაც უარვყოფთ საკუთარ თავერდა განკერძოებულებას, რამდენადაც თავმდაბალი სიყვარულის მეშვეობით განვეზავებით ეკლესიურ სრულყოფაში, რამდენადაც ეკლესის სხეულთან თანხმობას საკუთარ აზრზე მაღლა ვაყენებთ. ეკლესიაში არ არსებობს ვიღაც განყენებულად მდგარი ჰეშმარიტების ავტორიტეტი, გაფიქრებაც კი იმისა, რომ ვიღაცს მიეწერა სხვა ადამიინების სინდისისა და რწმენის ზემოდან დამყურე ავტორიტეტის სახელი, არის უარყოფა ქრისტეს ეკლესისა. არა! ქრისტეს ეკლესიაში არ არის ასეთი მკრებელური, ღმრთისმგმობური, არაქრისტიანული, შებდალული და უზნეო საწყისი, რასაც ეწოდება “ავტორიტეტი სინდისისა და რწმენის საკითხში”. მთლიანად ის, ქრისტეს ეკლესია, უცდომელია: იგი თვითონ ღებულობს მხოლოდ იმას, რაც ქრისტესთან არის შეთანხმებული, ყველა ქრისტიანის ურთიერთსიყვარულზე დაყრდნობით... მას მართავს უზენაესი გონება, თვით სულიწმიდა, დამცველი ყოველგვარი სხებისაგან, რომლისგანაც არც ერთი ჩვენგანი არ არის გარანტირებული, თვით კრებაც კი არ არის მისგან დაზღვეული.\*

ავტორიტეტი ყოველთვის რაღაც გარევნულია ადამიანთან ან ნებისმიერ სხვა ორგანიზმთან მიმართებაში. ჰეშმარიტება კი - შინაგანი წესის მოვლენაა: ადამიანი ემორჩილება ეკლესის არა იმიტომ, რომ იგი “ავტორიტეტია”, არამედ, იმიტომ რომ იგი - ჰეშმარიტება! ეკლესია არ არის ავტორიტეტი დოგმატიკის საკითხში, იგი მხოლოდ ადასტურებს მას. \* ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესია არაა დაფუძნებული ავტორიტეტზე, არამედ სიყვარულსა და თავმდაბლობაზე. თავმდაბლური სიყვარულის გარეშე ვერ მივიღებთ მონაწილეობას კათოლიკე ეკლესიაში, რადგან სიყვარულის გარეშე მისი რწმენაც კი შეუძლებელია...

ჩვენ ასე კი არ ვამბობთ: “მრწამს ეკლესის”, ანუ მწამს რასაც ეკლესია ამბობს, არამედ: “მრწამს ერთი წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია” - საკუთრივ მისი არსებობის, გვწამს, ვინაიდან ეს გონებისათვის მიუწვდომელია, ეს ღმრთაებრივი გონების განცხადებაა დედამიწაზე. ამ გონებაში კი (იგივე - სულიწმიდა, სული ჰეშმარიტებისა) ჩვენ ვმონაწილეობთ მხოლოდ სიყვარულის მეშვეობით, რომელიც გადმოედინება ეკლესის ცოცხალ წევრებზე სულიწმიდის მიერ (რომ. 5.5). ამ სიყვარულის გარეშე შეუძლებელია გვწამდეს, ვერ შევიცნობთ ვერავითარ ჰეშმარიტებას.\*

სწორედ - თავმოყვარება, ეგოზმი, თვითდაჯერებულობა, საკუთარ მოსაზრებებზე მინდობა - ქრისტიანს აყენებს უცხო, ცივ, უსიცოცხლო მდგომარეობაში, თითქოს კუმშავს და ახმობს იმ სადინარებს რომელთა მეშვეობითაც მაცოცხლებელი სითხე მიედინებოდა “ვწახის რტოებში”, რის გამოც იგი ხმება და კვდება, თუმცა კიდევ დიდი ხნის განმავლობაში შეიძლება გვეჩვენებოდეს, რომ ცოცხალია; გაზაფხულზე კი კვირტის გამოღების მოლოდინშიც კი ვიქნებით. მაგრამ დამდეგი გაზაფხული გამოავლენს მასში დაფარულ სიკვდილს.

## ხატის წინ ანთია სანთელი - რას ნიშნავს ეს

მორწმუნე ტაძარში შედის, წმიდა გამოსახულების წინ სანთელს ანთებს და ლოცულობს. სანთელი მშეგიდად და ზომიერად აფრქვევს სინათლეს, ნათელს პეფენს ხატზე გამოსახულ ღმრთაებრივ სახეს, საანამ არ დაილევა და გაქრება. აი, ის უკვე აღარაა - მაგრამ გაქრა კი? არა - იგი მთლიანად სინათლედ და სითბოდ გადაილვენთა. თავისი სხივებით აირეკლა წმიდა სახეები - თან წაიღო ეს ულამაზესი ანარეკლი, წავიდა მოთამაშე ნათებით შორეულ ცაში ტაძრის სარკმელთა მიღმა საიდუმლოდ მოციმციმე ვარსკვლავებთან. ამ ანთებული სანთლის მსგავსია მორწმუნის ცხოვრება. ასეთივე ნათელი და თბილი უნდა იყოს მისი დგომა ღმრთის წინაშე, ასეთივე ღმრთაებრივი სილამაზის ანარეკლით, ვიდრე ბოლომდე ჩაიწვებოდეს. აი რა დიდი და საშინელი საიდუმლო გველიდება ჩვენ ახლო მომავალში, როდესაც “წესნი იგი დაწმუნებ და დაზულენ და ქუეყანა და მას შინა საქმენი დაწმუნებ”, მაშინ, - ღაღადებს წმიდა მოციქული, - “რაბამთად ჯერ-არს თქუენი ყოფად წმიდითა ქცევითა და კეთილითა მსახურებითა, რათა მოელოდეთ და ისწავლდეთ მოსლვასა მას დღისა მის ღმრთისასა, რომელსა შინა ცანი მეურვალუნი დაიგსნენ და წესნი დაწმუნებ და დადნენ” (2 პეტრ. 3,11-12). ოდესლაც მოგვიწევს თითქოს ნემსის ხერხელში გაძრომა (მარკ. 10,25) და აქ, ყოველივე ამქვეყნიურისა და ამაოს დატოვება. ხედავ - მიწიერი მატერისაგან, პატრიუქისა და ცვილისაგან შემდგარი სანთელიც კი შეიძლება აამაღლო ხილულ ცამდე! ავანთოთ ის და სინათლედ ქცეული ცაში აიწევა. ასევე სულიწმიდის მაღლით ანთებული ქრისტიანის ცხოვრებაც - მისი ხორციელი ძალები და სულიერი მოძრაობები - მიძღვნილი ღმრთისადმი სულიერ ცამდე აამაღლდება. ჩვენ ხომ ყველაზი უნდა გარდაიქმნათ უხეში ხორციელი მდგომარეობიდან და გავხდეთ დახვეწილნი, სულიერნი, თვით ჩვენი სხეული გახდება თანაზიარი ღმრთაებრივი დიდებისა, მაგრამ ეს შეიძლება აღსრულდეს მხოლოდ სულიერი გადაწონიბის, ფრიცვალების მეშვეობით. სანთლის ცვილი - კეთილი საქმეების, ხორციელ და სულიერ შრომათა სახეა: ფუტკარიც ბეჭრს დაშერა ყვავილიდან ყვავილზე ფრენით, რომ შეეგროვებინა ცვილი. ქრისტიანი - კითხულობს რა წმიდა წერილს, წმ. მამათა სწავლებებს, უსმენს ეკლესის დარიგებებს და ცდილობს რა საქმით აღასრულოს მოსმენილი - თითქოსდა აგროვებს ნექტარს ეკლესის ყვავილნართაგან. ცვილი პატრიუქის გარეშე არ იწვის, მხოლოდ დნება და იღვენთება - კეთილი საქმენიც რწმენის გარეშე დედამიწაზე დარჩება - არ აღიყვანებენ ისინი ადამიანს ზეცაში, მხოლოდ სიამაყეს შესძენენ. პატრიუქი რწმენის სახეა: როგორც ისაა დაწმული მრავალი ძაფისაგან, ასევე ჩვენი რწმენაც მრავალი დოგმატის - ჭეშმარიტებისაგან შედგება. მხოლოდ გათვითცნობიერებული რწმენა სწორად შესამძღვრი საქმეებთან - “ანათებს ზომიერად”. თუ სანთელში წვრილი პატრიუქია (რწმენის უკმარისობა) - ცეცხლის ალი სუსტია, მალევე იძირება გამდნარ ცვილში და ქრება. თუ პატრიუქი მსხვილია - ცეცხლი ძლიერია, სანთელი ტკაცუნობს, იჭვარტლება და ბოლოს მთლიანად დნება, ალმოდებულ უფორმო მასად იქცევა: ასეთივე იმათი ცხოვრება, ვინც აირჩია “კეთილმეტყველების” გზა და არა “კეთილმოქმედებისა”, ვინც ბაგითა მისითა პატივს სცემს ღმერთს გული მისი კი შორს განშორებულ არს მისგან (მარკ. 7,6). და კიდევ - არ კმარა მხოლოდ ვარგისანობა სანთლისა, საჭიროა იგი იყოს ეკლესიაში, სასანთლეზე ანთებული. ხომ არიან ბეჭრი ევრეთწოდებულნი ქრის-

ტეარნები, რომელთაც ვითომცდა სწამთ და საქმეთაც აღასრულებენ, მაგრამ ეკლესის გარეთ იმყოფებიან, მაღლისთვის უცხონი, როგორც მრავალი მწვალებელი და განხეთქილებაში მყოფი - ისინი ყველანი არიან სანთელნი, მაგრამ არა მანათობელნი. ეკლესიაში სანთელი კანდელიდან ინთება: მორწმუნის ცხოვრებაც სიცოცხლით სავსეა და ნაყოფიერია მაშინ, როცა მის გულში სულიწმიდის მადლია აღნთებული - ეს კი მხოლოდ ღმერთთან ერთობაში არის შესაძლებელი, ეკლესის საიდუმლოთა მემვეობით... - აი რას ნიშნავს ის, რომ სანთელი მშვიდად და ზომიერად ანთია ხატის წინ!

## როგორი იქნება საშინელი სამსჯავრო?

მართმადიდებლებს ისე როდი პრწამთ, თითქოს საშინელ სამსჯავროზე პირდაპირი გაგებით გადაიშლებიან “მსჯულთა წიგნი”, „სასწორზე“ აიწონებიან ცოდვანი და მათ გამოიტანენ სხვადასხვა საუკუნო სასჯელს - ეს მხოლოდ სახეებია, ამაში კი იგულისხმება უფრო უდიდესი რამ: ღმერთმა ეს სამყარო იმ მიზნით შექმნა, რომ საბოლოოდ მიზიდოს იგი თავისკენ თავისი დიდებით გააბრწყინვოს ის და იყოს მასში “ყოვლად ყოველსა შინა” (1 კორ. 15,28). მისი სიყვარულის გამო ეს ყველაფერი შეუძლებელია მოხდეს ქმნილების ნების გარეშე. გონიერმა ქმნილებამ ამგარი დაახლოება, ერთობა, ზიარება ღმრთაებრივ ბუნებასთან რომ იტვირთოს (2 ჰეტ. 1,4) აუცილებელია მისი საფუძვლიანი მომზადება. ღმერთი ყოველივეს დაიახლოვებს, სიყვარულით მოიცავს და თავისი დიდებით აღავსებს - არა იმისათვის, რომ დაგვსაჯოს და განვიკითხოს - არამედ რათა უსასრულოდ გააბეჭდიერიოს. ღმრთის დიდებაში, მასთან ერთობაში მარტო ის შესძლებს შევიდეს, ვინც მოელოდა, ემზადებოდა და თანდათან ეზიარებოდა ღმრთაებრივ ნათელს. ღმრთის სიყვარული, ნათელი და მისი დიდება - აი ის ცეცხლი, რომელიც აღავსებს თავისით ყოველივეს: ეს ცეცხლი განანათლებს და გაამზიარულებს იმათ, ვინც ამ ცხოვრებაში მოიხვეჭა “საუფლევლის საწინდარი” და დაწვავს მათ, ვინც შინაგანად დარჩა უცხო ამ ნათლისათვის.

“არ უნდა პქნდეს ადგილი ისეთ აზრს, თითქოსდა ცოდვილნი გეენიაში აკლდებიან ღმრთაებრივ სიყვარულს... მაგრამ სიყვარული თავისი ძალით მოქმედებს ორგარად: იგი სტანჯავს ცოდვილთ... და ახარებს მათ ვინც იზრუნა თავისი მოგალეობის აღსრულებისათვის” (ჟქ. თ ჸუ ჟ კ 18). მართალნი - რომლებსაც ამ ცეცხლის ნაწილი უკვე გულში აქვთ - საუკუნოდ განიხარებენ, განათლდებიან, ღმრთაების თავში მატარებელნი, შეერთდებიან ღმრთაებასთან, მაგრამ არ შეირევიან მასში, არამედ დარჩებიან ადამიანებად, როგორც ცეცხლში გახურებული რკინა, ცეცხლადაც იქცევა, ამავე დროს რკინადაც რჩება. მადლისათვის უცხონი საუკუნოდ აღმოდებულნი, დატანჯულნი, მგლოვიარენი და მგოდებელნი იქნებიან ამ ცეცხლში.

“მართალი გამობრწყინდება ვითარცა მზე” (მათე 13, 43). ვინც რამდენადაც იქნება მომზადებული ღმრთის თავის თავში მისაღებად - იმდენად იქნება ნეტარი ან უბედური. ღმრთის ხედვის - ესე იგი მის დიდებაში ყოვნის შეძლება ან არ შეძლება არის სამოთხის და ჯოვჯოხეთის საწყისი. უფალი ამბობს: “რომელსა პრწმენეს მისი (ძისა ღმრთისა - ავტ.) არა დაისაჯოს, ხოლო რომელსა არა პრწმენეს, აწვე დასჯილ არს, რამეთუ არა პრწმენა... და ესე არს სასჯელი, რამეთუ ნათელი მოვიდა სოფლად და შეიყვარეს კაცთა ბნელი ვიდრე ნათელი” (იოანე 3, 18-19). ეკ ღმრთისა იმიტომ მოვიდა ქვეყანაზე, ხორცი შეისხა, რათა ჩვენ შეგძლით მომზადება ნათლის მისაღებად, როდესაც იგი გამოჩნდება დაუფარავად. “მისი ღმრთაებრიობის გამოჩენა - ამბობს წმ. სიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი - თუ მხოლოდ იგი მოგვევლინებოდა ადამიანური ბუნების გარეშე, ვერანაირი ხორციელი ვერ გაუძლებდა მის დიდებას... თუ გამოჩენდებოდა მხოლოდ ღმრთაებრიობა, მაშინ, სრულიად გაქრებოდა მთელი ქმნილება (ეს იმიტომ, რომ იმ დროს თითქმის ყველანი იყვნენ ურწმუნებაში ჩაფლულნი); ღმრთაება კი არასდროს არავის გამოცხადებია რწმენის გარეშე, და თუ იგი გამოეცხადება ვინმეს რწმენის გარეშე, იქნება საშინელი და შემაძრწუნებელი, იმიტომ რომ ამ შემთხვევაში იგი კი არ განანათლებს, არამედ სწვავს, კი არ განაცხოველებს, არამედ სტანჯავს... ეხლა ამ ცხოვრებაში შევდივართ რა ნა-

თელში სინანულის საშუალებით, ჩვენ გომზილებით და განვიკითხებით ჩვენი სულის სიღრმეში, განსაწმედელად და ცოდვების მისატევებელად. ვინც ამ ცხოვრებაში განიკითხება ასეთი განკითხვით, ივი არ შემინდება არავითარი სხვა ამგვარი ტანჯვით. მაცხოვრის მეორედ მოსვლისას მათვის, რომელთაც არ უნდათ ამჟამად ნათელში შესვლა და მის მიერ, რომ იყვნენ განკითხულნი, არამედ ვერ იტანენ მას, გამოუბრწყინდებათ ნათელი აწ დაფარული და გამოაშეკარავებს მათში ყოველივე იდუმალებით მოცულს; მაშინ ყველა ისინი, რომლებმაც არ შეიმოსეს ქრისტე - ესე იგი არ შევიძნენ ნათელში, არ მიიღეს ნათელი, არ გახდნენ ნათელნი - ყველა ისინი აღმოჩნდებიან შიშველნი, მოვლენ უდიდეს შიშსა და ძრწოლაში (უ. ქ. 57, უ. ქ. 79). „სრულყოფილებისა და უზრწნელებისათვის მოსამზადებლად, ჩვენ ამჟამად მისი სულის რაღაც ნაწილი გვეძლევა, რათა თანდათან მივეჩიოთ მივიღოთ და ვატაროთ ღმერთი (უ. ქ. 5, 8). როგორც სნეული თვალების მქონე - მზის უბრწყინვალესი ნათებისას, როდესაც მთელი სამყარო ხარობს და ხალისობს ნათლის სიკაშაშით - იტანჯება, წვალობს და სიბნელეს ეძებს. მაგრამ ღმერთი იქნება “ყოვლად ყოველსა შინა”, ყველგან გამობრწყინდება მისი ნათელი, ხოლო მისგან უცხო ქმნილნი “კაცნი ეძიებდნე სიკვდილსა... და სიკვდილი ილტოდეს მათგან” (გამოცხადება 9,6). ამაშია საუკუნო ტანჯვის არსი, ამაში მდგომარეობს საშინელი სამსჯავროს საიდუმლოება.

## ძელი ცხოვრებისა

ადამიანისათვის ბუნებრივია უმაღლესი ცოდნისაკენ სწრაფვა, ყოველივეში დაფარული სიბრძნის ძიება, სამყაროს შექმნის საიდუმლოს ამოცნობის მცდელობა... თუკი სწორი გზით ივლის, ღმერთი მას მიიყვანს უდიდესი სიბრძნის შემეცნებამდე - ქრისტეს ჯვართან - რომლის მიერაც იხსნება საიდუმლოთა საიდუმლო, კარიბჭე ყოველივე იდეალურისა და უმშვენიერესისადმი. სწორედ რომ უფლის ჯვართან მიდიან და ქედს იხრიან ჩვენი სულის ყველაზე უდიდესი ძიებანი. წმიდა მამები ამბობენ: “ვინც ქრისტეს ჯვარის საიდუმლო შეიმეცნა, მან შეიმეცნა ყოველივე!” სამოთხის შუაგულში ხარობდა ხე ცხოვრებისა, რომელიც მისი ნაყოფის გემოსმრილველს საუკუნო ცხოვრებას ანიჭებდა (შექმნა 3, 22). ეს ქრისტეს ჯვარის სახეა. ჭაძრის გუმბათს ჯვარი აგვირგვნებს, ჯვარი ანათლებს ქრისტიიანის მკერდს! სამყაროს დასასრულს ჩვენი მსაჯულის - უფლის საშინელი მოსვლის წინ, როდესაც მზე და მთვარე დაიფარვიან, ვარსკვლავი ზეცით გადმოცვივდებიან და თვით ცაც წარიგრაგნება ვითარცა “წიგნი წარგრაგნილი” (მათე 24, 29; გამოცხადება 6, 14) ზეცაში ბრწყინვალე ჯვარი გამოჩნდება. ქრისტეს ჯვარის მიერაა ჩვენთვის ყოველივე! შესვლა საუკუნო ცხოვრებაში, აზრი და მიზანი ამ ცხოვრებისა, ჩვენი სარწმუნოება, იმედი, სიყვარული - ყოველივე ჯვარის მიერ! ოდესღაც ისრაელი ერი უდაბნოს გავლით, მეწამული ზღვის შორისახლო მიდიოდა. ურწმუნების გამო ისინი შხამიანმა გველებმა დაგესლეს, რის გამოც მრავალი მათგანი იხოცებოდა (რიცხ. 21). მაშინ ღმერთმა მოსეს სპილენძის გველის შექმნა და ძელზე მიმსჭვალვა უბრძანა. ვინც კი ამ დაგესლილთაგან შეხედავდა მიმსჭვალულ გველს - იღებდა კურნებას. სპილენძის გველი წინასახე იყო მაცხოვრის ჯვარზე გაკრული სხეულისა (უ. მჭ. ჭ. ვვ. ხშ. 11). ადამის ცოდვაში ჩვენ ყველანი “დაგესლილნი გართ გველის მიერ”, ვიბადებით მომაკვდინებელი შხამით, რომელიც გვაქვს სულშიც და ხორცმიც, სასიკვდინოდ განწირულნი - სულიერად და ხორციელად. საცდურის წყაროდ, თითქოსდა გველისმიერი ცდუნების სახედ, თვით ჩვენი სხეული იქცა. უფალმა შეისხა ჩვენი სხეული, მაგრამ ცოდვის გარეშე. ღმერთმა კი “ცოდვის არმცოდნე ცოდვის მსხვერპლად აქცია” (2 კორ. 5,21). ჩვენი ცოდვების გამო უფალმა ჯვარზე აღამაღლა თავისი სხეული, და აი ჯვარზეა უსულო სხეული, მაგრამ ამ “სხეულშია ცხოვრება, აქ არის გამოხსნა, აქ არის სინათლე, აქ უფალი მიდის სიკვდილთან და უბრძანებს რათა მან განუტეოს სულები ჯოჯოხეთიდან და მას დაუბრუნოს” (უ. მჭ. ჭ. ვვ. ხშ. 11). მაშინ უდაბნოში დაგესლილთაგან არავინ დარჩენილა ცოცხალი, ძელზე ამაღლებული გველის შემყურეთა გარდა! ასევე ვერავინ ადამიანთაგან ვერასოდეს მოიცილებდა გონებისმიერი გველის ნაებენს თუ არ შეხედავდა ჯვარცმულ ქრისტეს! ვერც ძეველ აღთქმაში - ვერც ახლა! უფლის განხორციელებამდე “შეჰურებდნენ” წინასწარმეტყველთა მიმართ რწმენით, ძველი აღთქმის ეკლესიის წესებში

მონაწილეობით, სადაც ყველაფერი მეტყველებდა მომავალ ქრისტეზე. არც ერთი მოქმედება, არც ერთი წინასწარმეტყველური სიტყვა არ იყო განცალკევებული ამ რწმენიდან, ამ მოლოდინიდან. ჩვენ ეხლა “შევჰყურებთ” და ვეზიარებით ჯვარს წმიდა ნათლისლების საიდუმლოს მიერ. ნათლობის დროს ჩვენ დავეფლვით ქრისტესთან ერთად, კრდებით მისი სიკვდილის თანამოზიარენი. წმ. გრიგოლი დიდი ამბობს, რომ აღთქმის კიდობაზე ერთმანეთის პირისპირ გამოსახული ის ორი ქერუბიმი გამოსახავენ ორ აღთქმას - ძველს და ახალს, რომლებიც “შევჰყურებენ რა მათ შორის მდებარე მაცხოვარს, თავიანთი შეხედულებებით არ ეწინააღმდეგებიან ურთიერთს, არამედ იუწყებიან მისი მაცხოვნებელი განგებულების საიდუმლოს შესახებ (40 ხშ შვ ჭ ვეზ ჯ. ხშ . 25.3). წმ. თეოფანე დაყუდებული კი წერს: “ქრისტეს ჯვარი, მისი სისხლით წარმოგვიდგება შუაში აღმართული, რომელიც თავისი განწმედელი ძალით ფარავს ყველა ცოდვილს ძველ აღთქმაში და ახლაც” (რ . პ . 3.26). უცოდველი არავინაა, ყველანი ვართ დაგესლოლნი გველისაგან, შეხედოთ რწმენით მაცხოვნებელ ქლს - და მივიღებთ საუკუნო ცხოვრებას. ის, ვინც ხორციელად იშვა ამ ქვეყნაზე და არ შეხებია ჯვრის საიდუმლოს, ამ ცხოვრების ჩიდან არ უგემია ნაყოფი - იგი ჯერ კიდევ არ შობილა და არ უცხოვრია... ვინც ამ ცხოვრებაში არ შეეხება და არ იგემებს - მაშინ უკუნიოთ უკუნისამდე ვერ გაცოცხლდება!

ჯუარსა შენსა თაყვანის კუცემთ, მეუფეო, და წმიდასა აღდგომასა შენსა უგალობთ და ვადიდებთ.

## თუ როგორ აღვიქვათ “ცხოვრებად მერმისა მის საუკუნისად”?

მართმადიდებლებს სწამთ: მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი ყველგანაა, ამჟამად ჩვენი სამყარო რაღაც გაუგებარი სახით თითქოსდა განშორებულია ღმერთისაგან. საშინელი საშვავროსა და მისი შემდგომი მოვლენების არსი იმაში გამოვლინდება, რომ ღმერთი აიღებს ამ მიუწვდომელ საზღვრის, მიზიდავს მთელ სამყაროს თავისკენ და იქნება ღმერთი “ყოვლად ყოველსა შინა” (1კორ. 15,28). სწორედ ესაა საბოლოო მიზანი რისთვისაც ეს სამყაროა შექმნილი. ეს ყველაფერი ხილულ სამყაროში ერთადერთი გონიერი არსების, უმაღლესი ქმნილების - ადამიანის საშუალებით უნდა აღსრულდეს. ღმერთი სიყვარულია (1 იოანე 4,8), მას არ სურს, რომ ვინმე თავისუფალი ნებისა და არჩევანს გარეშე მიუხსლოვდეს. ღმერთი ჩვენგან ჩვენს სიყვარულსა და თავისუფალი ნებით მისდამი ლტოლებს ელოდება. როცა იგი თავის თავს სრული სახით ამა სოფელს გამოუცხადებს - მაშინ მხოლოდ ისინი შესძლებენ მასთან შეერთებას, ვინც ამჟამად ნებით შეიწყარა იგი თავის გულში, ვინც ფლობდა “სასუეველის საწინდარი”, მოიხვევა “ღმრთა-ებრივი ცეცხლი” (როგორც ამბობენ წმ. მამები), ე.ი. სულიწმიდის მაღლი, რომელსაც ვერსად ვერ მივიღებთ თუ არა მხოლოდ მართმადიდებლური ეკლესის წმიდა საიდუმლოებებში. ვინც წმიდა ნათლობის საიდუმლოებაში იქნება თანაზიარი მაცხოვრის ჯვარზე დათმენილი ვწეტებისა - იგი მიიღებს თავის გულში ერთგვარ საიდუმლო “ბეჭედს”, “ზეციურ სამოსს”, “ნაწილს ღმრთაებრივი ცეცხლისა”. მხოლოდ ეს შინაგანი ზიარება ჰყოფს მათ “თავისიანად” ანუ ღმრთისათვის “ცნობილად”. “ის რაც ქალი ადამიანმა შეკრიბა თავის თავში, ის გამოსქარავდება მაშინ გარეგნული სახით, როგორც ხეში დაფარული ნაყოფი” (უკ. მჭ ჭ შვ შვ . 25). მაშინ - ყველაფერი რაც არ იყო შეწირული ღმრთისადმი - როგორც თავისუფლად არ მიძღვნილი, ვერ შესძლებს იყოს მასთან ურთიერთობაში. ეს იმიტომ, რომ ღმერთი სრულია სიყვარულში და არ სურს მიიახლოვოს თავისთან ვინმე თავისუფალი ნების გარეშე. ადამიანი - როგორც უმაღლესი არსება, გვირგვინი ქმნილებისა, რომელსაც სწამს, სასოებს და უყენას - უძღვნის ღმერთს არა მარტო თავის გრძნობებსა და ძალებს, არამედ საგნებს, მის გარშემო მყოფ სამყაროს, განსწმედს ლოცვით და საკუთარ თავთან ერთად მიპყრის შემოქმედს. ამიტომა იგი მეფეცა და მღვდელმთავარიც. ადამიანის საშუალებით ემზადება ეს სოფელი თავისი შემოქმედის მისაღებად. როდესაც იგი გამოცხადდება - ყველაფერი მისდამი მიძ-

ებრივი ცეცხლი” (როგორც ამბობენ წმ. მამები), ე.ი. სულიწმიდის მაღლი, რომელსაც ვერსად ვერ მივიღებთ თუ არა მხოლოდ მართმადიდებლური ეკლესის წმიდა საიდუმლოებებში. ვინც წმიდა ნათლობის საიდუმლოებაში იქნება თანაზიარი მაცხოვრის ჯვარზე დათმენილი ვწეტებისა - იგი მიიღებს თავის გულში ერთგვარ საიდუმლო “ბეჭედს”, “ზეციურ სამოსს”, “ნაწილს ღმრთაებრივი ცეცხლისა”. მხოლოდ ეს შინაგანი ზიარება ჰყოფს მათ “თავისიანად” ანუ ღმრთისათვის “ცნობილად”. “ის რაც ქალი ადამიანმა შეკრიბა თავის თავში, ის გამოსქარავდება მაშინ გარეგნული სახით, როგორც ხეში დაფარული ნაყოფი” (უკ. მჭ ჭ შვ შვ . 25). მაშინ - ყველაფერი რაც არ იყო შეწირული ღმრთისადმი - როგორც თავისუფლად არ მიძღვნილი, ვერ შესძლებს იყოს მასთან ურთიერთობაში. ეს იმიტომ, რომ ღმერთი სრულია სიყვარულში და არ სურს მიიახლოვოს თავისთან ვინმე თავისუფალი ნების გარეშე. ადამიანი - როგორც უმაღლესი არსება, გვირგვინი ქმნილებისა, რომელსაც სწამს, სასოებს და უყენას - უძღვნის ღმერთს არა მარტო თავის გრძნობებსა და ძალებს, არამედ საგნებს, მის გარშემო მყოფ სამყაროს, განსწმედს ლოცვით და საკუთარ თავთან ერთად მიპყრის შემოქმედს. ამიტომა იგი მეფეცა და მღვდელმთავარიც. ადამიანის საშუალებით ემზადება ეს სოფელი თავისი შემოქმედის მისაღებად. როდესაც იგი გამოცხადდება - ყველაფერი მისდამი მიძ-

ღვნილი იქნება გასულერებული. მისი ბეჭდის მქონე - აღისება ღმრთაშრივი ნათელით, ადამიანი იქნება “ღმერთი მადლის მიერ”. “მაშინ მართალნი გამობრწყინდნენ, ვითარცა მზე, სასუფეველსა მამისა მათისასა” (მათე 13,43). მაშინ იმ ადამიანთა სხეულნიც, რომელთაც აქვე შეიწყნარქს თავის თავში ქრისტე - “საღმრთო ნათლის დიდებით შეიმოსებიან”, “იქ ყველანი ეზიარებიან ღმრთაებრივ ბუნებას, შეიქმნებიან კეთილნი, ღმერთი და ძენი ღმრთისანი” (უკ. მჟ ჭ 34.). ღმრთის სასუფეველის სავანებში ის კი არ უნდა ვიკულისხმოთ, თითქოს იქ იქნებიან კეთილმოწყობილი და მორთული სახლები და ბაღჩები, როგორც დედამიწაზეა, არამედ ის, რომ “თითოეული თავისი საზომის და მიხედვით ნათლდება ერთი გონიერი მზით” (უკ. თ ჭ 58). ე.ი. სხვადასხვა ზომით ჭვრეტს ღმერთს. “ეგრეთწოდებულ სავანეთა და ადგილთა ნაცვლად იქნებიან სიყვარულის სხვადასხვა საზომნი” ამბობს წმ. სიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი; იგივე მამის თქმით “თითოეულის მიერ ღმრთის შემეცნების ხარისხი იქნება მათი სიმაღლის საზომი, დიდება, ნეტარება და პატივი”. სწორედ ეს “არის სხვადასხვა პალატი”, “სავანენი მრავალნი, გვირგვინნი სხვადასხვაგვარნი, ტახტი და სარკელნი... და ყოველივე რაც კი არის სასიამოვნო ტებობისათვის, იყო, არის და იქნება ჭვრეტა ერთადერთი ღმრთისა” (დ 27). “ადამიანები იხილავენ ღმერთს, რათა ცხოველიყნენ ხილვის მიერ” (უკ. თ ჭ ლ . “ო კ ჭ ჭ ”).

4 ჯ 20). ყველაფერი რაც კი არ იყო მიძღვნილი, განეშორება პირისაგან ღმრთისა ზოგიერთ მიუწვდომელ შორეულ ადგილებში. ღმრთის ხილვისაგან განშორება, სწორედ, რომ ჯოჯოხეთის დასაწყისა.

ადამის კოდვა

ქრისტეანმა იცის - საიდან იღებენ საწყისს მთელი ჩვენი უბედურებანი: აგადმყოფობა, სიკ-  
ვდილია, ბოროტება, მტრობა, ყველა ვნება, ცოდვანი, ადამიანთა ბიწირებანი - ყველაფერი და-  
იწყო სამოთხეში ჩვენი წინაპრების მიერ ლმრთის მცნების დარღვევით!

ღმერთმა ადამიანი შექმნა უმაღლესი ბერძინებისა და ნეტარებისათვის, მთელი ხილული სამყარო იქმნა მოწყობილი, როგორც უმდიდრესი და უდიდესი სამეფო ადამიანისათვის - მისი მეფისა და მმართველისათვის. მაგრამ ყველაზე დიდი სიხარული ღმერთთან მადლის მიერ ერთობაში მის მიმართ სიყვარულში მდგომარეობდა. ადამიანს თავისი ნებით, მთელი გულით რომ ჰყავარებოდა უფალი - ის შექმნილი იყო თავისუფალი, ე.ი. მას რჩებოდა შესაძლებლობა განშორებოდა თავის შემოქმედს. მისი სიყვარული რომ გამოეცადა - უფალმა ადამს მცირე მცნება მისცა - არ ჰქამა ნაყოფი მხოლოდ ერთი ხიდან, ამასთანავე მას შეეძლო ქარგებლა და ესი-ამოენა მთელი ედების ბაღის ნაყოფებით. ღმერთმა ამ აკრძალვას თან დაუროთ შემაძრწუნებელი გაფრთხილება - თუ ადამი შექამს ამ ხის ნაყოფს - იქნება სიკვდილისაგან დატყვევებულიო. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ღმერთმა შექმნა სიკვდილი და პირველივე ადამიანს დაემუქრა ამით ურჩიბის შემთხვევაში - არ! უფალი თითქოსდა უტნებოდა: "თუ შენ უგულებელყოფ ჩემს სიტყვას და ზურგს შემაქცევ მე, მაშინ მეც განვდგები შენგანო"! მაგრამ სულიერ არსებათათვის სიცოცხლე ხომ ღმერთია, ღმრთის განშორება ადამიანისათვის შექმნა საშინელი სასჯელი, მისი განხრწნისა და ნაწილებად დაშლის საწყისი.

ადამიანმა დაცემისთანავე დაიწყო სულიერად და ხორციელად კვდომა! როგორც წმ. მაქსიმე აღმსარებელი ამბობს: “სიკვდილი, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, ღმრთისაგან განშორებაა, ხოლო „საწერტელი სიკვდილისა ცოდვა“ (1 კორ. 15,56). ადამმა მიიღო რა ეს “საწერტელი” აღმოჩნდა ცხოვრების ხისაგან, სამოთხიდან და ღმრთისაგან განდევნილი, რასაც უცილობლად მოჰყება სიკვდილი” (2- . ჯ ჭე ხე , 93). ადამმა დაკარგა ღმრთის კეთილგანწყობა თვისადმი, იქმნა ვითომცდა, ღმრთისათვის უცნობი, აღმოჩნდა რისხევისა და განგდებულობის ბეჭდის ქვეშ. ასეთ მდგომარეობაში პირველი ადამიანები შობდნენ შვილებს - და მათი შვილები ჩასახვისა და შობისთანავე აღმოჩნდნენ იმავე განშორებულობის აჩრდილის ქვეშ, წინაპართა ცოდვებისა და უსჯულოების ზიარნი (ფსალ. 50,7). სრულიად ყველანი აღმოჩნდნენ თავიანთივე “ბუნებით შვილინ რისხევისანი” (ეფეს. 2,3). ამჟამად, ჩვენ ყველანი “გიბბადებით ცოდვილნი ჩვენი შემცოდე მამათმთავარ ადამისაგან, დამნაშვენი - დამნაშვი-

საგან, ცოდვის მონები - ცოდვის მონისაგან, წყევის ქვეშ მყოფი და მკვდარი - წყევის ქვეშ მყოფისა და მკვდრისაგან...” (უ. უ შ 6 კ. ბ ჯ . 66).

მიუხედავად ამისა ზოგიერთნი თვლიან რომ ეს უსამართლობაა: განა ადამის შთამომავალნი დამნაშავენი არიან მის ცოდვაში, მითუმეტეს - როგორ შეიძლება უდანაშაულო ჩვილები ჩაითვალონ ცოდვილებად შობისთანავე? მაგრამ განა ცოტაა ძველსა და ახალი აღთქმის ისტორიაში მაგალითები იმისა, თუ შვილები როგორ იმკვიდრებენ წინაპართაგან ან კურთხევას ან წყევას, რომელიც ადევს მათ საგვარეულოს, თოთქოს მშობელთა ცხოვრება გრძელდება მათში, ისევე როგორც ხის ფესვების სისუსტე ან სიძლიერე ვლინდება მის ტოტთა სიცოცხლეში. განა იგივეს არ ვხედავთ ირგვლივ, თუ მდიდარი მშობლების შვილები შობისთანავე როგორ სარგებლობენ სიმდიდრის სიკეთით, ღარიბთა შვილები კი - დაბადებიდანვე იტანჯებიან უკმარისობით? თავადის შვილები შობისთანავე როგორ სარგებლობდნენ პატივითა და სათავადო ტიტულებით, მონის შვილები კი ატარებდნენ თავიანთ ბავშვობას დამცირებაში... განა ეს უსამართლობაა? მაგრამ აი, ერთი შრომობდა, მეორე კი დაუდევარი იყო, ერთმა პატივი მოიხვეჭა, მეორემ კი მონიბამდე დამიცირა თავი, შესაბამისი ხევდრი გადასცეს შვილებსაც - მაგრამ მათ შეუძლიათ გამოასწორონ თავიანთ წინაპართა შეცდომები და აირჩიონ გზა ბედნიერებისაკენ.

წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე გამოჩენილ, მეფის მიერ საყვარელ თავადს, მხილებულს მეფის წინააღმდეგ შეთქმულებაში, ჩამორთმული აქვს სათავადო უპირატესობანი და გადასახლებულია შორეულ მხარეში, მამულში დაბრუნების აკრძალვით. გადასახლებაში მას უჩნდებიან შვილები - ისინი დაბადებიდანვე, პირადულად უდანაშაულონი, აღმოჩნდებიან გაძევებულნი, მოსაწყენ, ველურ და ცივ მხარეში, სათავადო უპირატესობა ჩამორთმული, მეფის წყალობისაგან გარიყული. მაგრამ ეს გაძევებულობა და გარიყულობა განა “უდანაშაულოთა სასჯელია” მეფის უმოწყალობით, სხვისი დანაშაულის გამო? განა ეს მათი წინაპრის მიერ ჩადენილი დანაშაულისაგან თავისთავად გამომდინარე შედეგი არაა? მაგრამ მათ, მაინც ეძლევათ უფლება დაუმოწმონ მეფეს თავიანთი ერთგულება, სიტყვით და საქმით დაამტკიცონ, რომ არ გაიმეორებენ თავიანთი მამის თვითნებობას - და მეფეც სიხარულით, არა მარტო აღადგენს მათ ყველა სათავადო უფლებებში - არამედ იშვილებს კიდეც!

გოლგოთაზე, ჩვენი გულისათვის დაკლული, განკაცებული ღმრთის ძის მსხვერპლით - გამოსაყიდული გართ წყევისაგან! ვინც ირწმუნა მისი, წმ. ნათლისძების საიდუმლოში გახდა ზიარი იმ ჯვარზე სიკვდილისა, ვინც თვით ცხოვრებით დამოწმა თავისი ერთგულება და მორჩილება - ის ღმრთისაგან ნაშვილები ხდება! ასე რომ, მამათმთავრისაგან ჩვენი ცოდვიანი მემკვიდრეობა უსამართლობად მარტო მაშინ გვეჩენება, როდესაც გვავიწყდება, რომ ქრისტეში თითოეულ ადამიანს შეუძლია მოიხვეჭოს იმაზე მეტი, ვიდრე დაკარგა ადამში.

“დაე, ნურავინ იფიქრებს, თითქოს მან განიცადა ზიარი წინაპართა გამო - ამბობს წმ. იოანე ოქროპირი - “თუ ჩვენ მოვინდომებთ მივაღწიოთ ყოველივე იმას, რისი მოცემაც აღგვითქვა ქრისტემ, მაშინ აღმოვაჩენთ, რომ მოცემულია უფრო მეტი, ვიდრე ჩვენ დავკარგეთ... რაზედ სტირ - მითხარ მე? იმაზედ რომ ადამმა, შესცოდა რა, მოკლებულ გყო შენ სამოთხეს? გამოსწორდი, მოშურნე იყავ სათნოებებში და მე შენ არა სამოთხეს, არამედ თვით ცას განგიღებ” (უ. ს. 9. ს. 10).

## მორჩილების შესახებ

პირველი ადამიანის მიერ ჩადენილი პირველი ცოდვა, დასაწყისი ყველა ჩვენი ცოდვისა და - დანაშაულისა - იყო ღმრთისადმი დაუმორჩილებლობა, როდესაც ეშმაკისაგან ცდუნებულმა ადამმა, ამჯობინა რა თავისი ნების აღსრულება, ღმრთის მცნება დაარღვია. ამრიგად, პირველ რიგში დასწულდა და დღემდე ავადმყოფობს - ჩვენი ნება! ასე რომ, ცხონება უპირველეს ყოვლისა - ღმრთისადმი მორჩილებაში, მისი ნების ძიებასა და აღსრულებაში მდგომარეობს.

ჩვენი ცხონების მთავარი მტერი - გარეთ კი არა, ჩვენს შიგნითაა, თვით ჩვენს გულებში, ჩვენს მეობასა და თვითნებობაში. ამიტომ გწებებთან ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაიწყოს თვითნებობის აღკვეთით, საკუთარი გონებისა და გრძნობების მიმართ უნდობლობით. რამდენადაც ცოდვიანი მიდრეკილებანი ათრობენ გონებას, ატყუებენ სინდისსა და ატყვევებენ

გულისთვებას, ჩვენ ძალიან გვიძნელდება ვაძლელოთ საკუთარ თავს ღმრთის ნებით ცხოვრება. ამიტომაც ვა საჭირო გამოკიდოლი მოძღვრის პორნა, რომელიც დაგეხმარებოდა ამაში.

“ჭეშმარიტი მორჩილება - ღმრთისადმი მორჩილებაა, ერთადერთი ღმრთისადმი! - ამბობს წმ. გპის კოპოსი ეგნატე სტავროპოლენი - ის, ვისაც არ ძალუდს თვითონ, თავისთავად დაქვემდებაროს ამ მორჩილებას, დამხმარედ ირჩევს ადამიანს, რომლისთვისაც ღმრთისადმი მორჩილება უფრო ნაცნობია” ( 90). მაგრამ საჭიროა განვასხვაოთ: დაქვემდებარება, თავის ნების მოკვეთა და მორჩილება. ჩვენ უნდა დავვეკვემდებაროთ არა მარტო საეკლესიო, არამედ საერო ხელისუფლებასაც კი (იქ სადაც იგი არ ეწინააღმდეგება სარწმუნოებას). თავის ნების მოკვეთა გვმართებს თითქმის ყოველთვის და ცველაფერში - არა მარტო კაცთა, არამედ გარემოებათა წინაშეც (რამდენადაც ეს შესაძლებელია და არა სული-სათვის საზიანო). სულიერ საკითხებში კი, რომელიც განსაზღვრავნ ჩვენი რელიგიური ცხოვ-რების მიმართულებას - შეიძლება ვნედოთ მხოლოდ სულიერ პირებს, რომელიც ნამდვილად მართლმადიდებლობის ერთგულნი არიან და გააჩნიათ გარკვეული სულიერი მიმართულება, კარგად უწყიდა მამათა სწავლება: მხოლოდ მათ მიმართ შეიძლება გვქონდეს ჭეშმარიტი მორჩილება. ის კი ვინც ბრძად მიენდობა ისეთ მასწავლებელს, რომელსაც დამახინჯებულად ესმის ქრისტეანობა - ის უსათუოდ თვითონაც ჩაგარდება იმავე შეცდომილებაში, გახდება არა ღმრთის - არამედ დაკრძოლული ადამიანის ნების აღმასრულებელი.

არა მარტო მღვდელი, არამედ მღვდელმთავარიც კი არაა დაზღვეული ხელდასხმის საიდუმლოთი, სერიოზული სულიერი შეცდომებისაგან. ის კი მართალია, რომ ხელდასხმისას სულიწმიდა მიმადლებს მათ წმიდა წერილის გაგებისა და მასწავლებლობის ნიჭი - მაგრამ არა მათი ნების, უფლისა და გონების მონაწილეობის გარეშე. თუკი ადამიანი არა დგას სწორ სულიერ გზაზე, წმიდა მამათა სწავლების წინაშე არ გააჩნია შიში და მოკრძალება, ეკლესის მასწავლები ხმის მიმართ არა აქვს მორჩილება - მაშინ ხელდასხმის მიერ ნაბოძები ყველა ნიჭი “ხვიმირსა ქვეშ” (ლუკ. II.33) დარჩება: ასეთ შემთხვევაში სამღვდელო ხარისხი მხოლოდ საფარველი - ლამაზი შესამოსელია, ის არ ცვლის ადამიანს, რომელიც ისეთივე სულიერების არ მქონე ცოდვილად რჩება და თავისთავად ასწავლის არა სულიწმიდის - არამედ კაცობრივი გაგებისაგან გამომდინარე სწავლებით. ამ დროს სულიერ მორჩილებაზე ზედმეტია საუბარი: ამ შემთხვევაში შეიძლება პატივი მიეგაოთ ხარისხს, მიეიღოთ მის მიერ აღსრულებული საიდუმლონი, გვქონდეს საკუთარი ნების უარყოფა და დაქვემდებარება, შევგიძლია ავიღოთ კურთხევა - მაგრამ მორჩილება მრავალ სიფრთხილესთან უნდა იყოს დაკავშირებული. ჩეენ არ შევგიძლია უსიტყვით მორჩილება გამოვიჩინოთ მის მიმართ, ვინც თვითონ არ იჩენს მორჩილებას ეკლესის სწავლებისადმი. ასეთ შემთხვევაში - მორწმუნება აქვს უფლება მოითხოვოს არა მარტო მღვდლისაგან, არამედ მღვდელმთავრისაგანაც კი ანგარიში იმისა - თუ როგორა სწავს მას (რაც ხშირად ხდებოდა ეკლესის ისტორიაში - იხ. ბაგ. წმ. პატრიარქ მელქიტის (ჯალერებაში - 12 თბილი).).

ჩევნ არ უხდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველი ქრისტეანისაგან მოითხოვდა შეგნებული, გონი-ერი რწმენა. როგორც ჩევნი დროის გამოჩენილი ღმრთისმეტყველი, ვლადიმერ ლოსკი ამბობს: „ქრისტეანის, რომელსაც წმ. მირონკების საიდუმლოში მინიჭებული აქვს სულიწმიდის ნიჭები, არ შეუძლია არ იყოს შეგნებული თავის რწმენაში, ის ყოველთვის პასუხისმგებელია ეკლესი-აზე“. „არა მხოლოდ ეკლესის მსახურნი, არამედ ყოველი ერისკაცი მოწოდებულია აღიაროს და დაიცვას ჭეშმარიტება, წინ აღუდეს თვით ეპისკოპოსთაც კი თუ ისინი გარდებიან მწვალებ-ლობაში...“ (“**თ ჭ კ კ 1.**). აუცილებელია ნათლად გვახ-სოვდეს, რომ უკეთელად დაუიღუპავთ სულს, თუ „მორჩილების გულისათვის“, თვით ეპისკო-პოსისადმიც კი, დავთანხმდებით „ვიცრუოთ“ ჩევნი სარწმუნოების დოგმატთა აღმასრებლობაში. ასე რომ - ვეძიოთ სულიერი მოძღვრის მორჩილებაში „ღმრთისადმი მორჩილება, ერთადერთი ღმრთისადმი“, დაე, გვახსოვდეს მოციქულის გაფრთხილება: „ნუ იქნებით მონაჲ კაცთა“ (I კორ. 7.23).

რას ნიშნავს საკუთარი ერის სიყვარული

კულტურული მამათმთავარი ადამისა და დედათმთავარი ევას შთამომავალი არის, კუცობრიობა, თითქოს, ერთი ღიდი ლურჯია. ყოველი ადამიანი - ლმრთის ხატია. ქრისტე - ლმრთი გან-

ხორციელდა, ჯვარს ეცვა, მოკვდა - ყველა ადამიანისათვის. უფალს “არა სურს სიკვდილი ცოდვილის” (ეზე. 33), ვინც არ უნდა იყოს იგი და სადაც არ უნდა ცხოვრობდეს! ქრისტეს ეკლესია - საყოველთაოა, ერთია ყველა ერს შორის - არ იყოფა ცალკეულ “ნაციონალურ” ეკლესიებად (იხ. განაჩენი ფილიტიზმის მწვალებლობაზე). ყველა ერის ჭეშმარიტ - მორწმუნე ხალხს - ჰყავთ ერთი მამა “რომელ არს ცათა შინა” და ერთი დედა - ეკლესია! ქრისტეს მიერ ცხონების მაძიებელი არა მარტო ერთ ერ - არამედ ერთ გვამ არიან (რომ. 12,5; I კორ. 12,12). ასე რომ, ქრისტეს გული უნდა შესტკიოდეს ყველა ადამიანზე. ყველას ცხონება თანაბრად უნდა სურდეს! მაგრამ განა განსაკუთრებული სიყვარული საკუთარი ერისადმი არ არის გამართლებული?

დავთიქრდეთ - რას ნიშნავს - “ჩემი ერი”, ეს, იმ უდიდეს ზოგადსაკაცობრიო ოჯახში ჩემს გარშემოა უფრო მცირე, ჩემთვის უფრო ახლობელი მშობლიური ოჯახი; მასთან მე უფრო ღრმად, მჭიდროდა გარ გადახლართული ბედით. ჩემი ერის წარსული, მისი ძებანი და აღმოჩენები, სიხარული და მწუხარებანი, აღზევებანი და დაცემანი - ყოველივე ამან თავისებურად აღბეჭდა ჩემი სული და არ შეიძლება ეს ჩემთვის სულერთი იყოს. როდესაც უტედურება ახლოვდება - ადამიანს პირველ რიგში გული შესტკივა მათზე, ვინც მისთვის უფრო ახლობელია: დედა, მამა, ძმა, მეგობარი, “მოყვასი”, შემდეგ - თავის ერზე და ბოლოს ყველა სხვა ხალხზე - ეს ბუნებრივია და განუყრელი ჩვენი გულიდან.

მაგრამ “სიყვარული საკუთარი ერისადმი” არ უნდა შეიცვალოს “ნაციონალური ამპარტავნებით”! მაგალითად - როდესაც ადამიანი მიიღოვის, რომ სხვებს გაასწროს თავმდაბლობაში, ღმრთისაღმი სიყვარულში, მცნებათა აღსრულებაში, სულიწმიდის მაღლის მოხვეჭაში - ეს სანაქებო, ღმრთისათვის სათხო მოშერნებობა. მაგრამ როდესაც ადამიანი ფიქრობს, რომ ის უკვე სხვებზე უკეთესია, უფრო წმიდაა, სუფთაა, ჭიკვიანია და ა.შ. - ეს ღმრთისათვის საძულველი ამპარტავნება! ასევე ამ შემთხვევაშიც - კი არ უნდა აღვამაღლოთ ჩვენი ერი სხვა ერებზე, კი არ უნდა ვიქებდეთ თავს უპირატესობებით და ვამცირებდეთ სხვა ერს, არამედ ნამდვილად უნდა გვსურდეს ჩვენ თანამემამულეთა სულიერი წარმატება, არა მიწიერი დიდება უსურეოთ მათ, არამედ ზეციური! იმაზე კი არ უნდა ოცნებობდეს ქრისტეანი - რომ მისი ერი გამდიდრდეს დედამიწაზე ხრწნადი სიმდიდრით, მატერიალური კეთილდღეობით, სიძლიერით, ხელოვნებით - არამედ უნდა ისწრაფოდეს, რომ მან მოიხვეჭის კეთილგანწყობა ღმრთისა, რომ თვით ზეცათა მეუფებ გამოარჩიოს ის ერთგულების, სიწმიდისა და თავისადმი სიყვარულისათვის. მან უნდა ინატროს, რომ მისმა თანამემამულებმა პირველ რიგში გამოამჟავნონ სიმამაცე და სიმტკიცე ცოდვებთან და ამა სოფლის საცდურებთან დაპირისპირებაში - და მარტო ამის შემდეგ შესძლებენ გარეშე მტრებთან ბრძოლაშიც ცხადპყონ თავიანთი სიძლიერე - მხოლოდ მაშინ ექნებათ ჭეშმარიტი თავისუფლება (სხვანაირად - ისინი მას გაყიდიან მატყუარა მიწიერ სიკეთეზე, როგორც ესავმა გაცვალა თავისი პირველობა ცერცვის შეჭამანდზე (დაბ. 25)...

ეტრაელებმა რატომ არ აღიარეს უფალი იესუ - მესიად, ისინი ხომ ძალზედ ღმრთისამოსავნი იყვნენ, ჰქონდათ მრავალი წინასწარმეტყველება ქრისტეს შესახებ, იცოდნენ მისი მოსვლის ნიშნები, მოუთმენლად ელოზენ მესის მეუფების გახსნას, უყვარდათ თავიანთი ერი... მაში, რატომ მოიძულეს იგი და აღამაღლეს ჯვრზე? განა, არა იმიტომ, რომ ეს მეუფება მათ მიწიერად წარმოედგინათ - თითქოსდა, მათი მესია იქნებოდა ყოვლის შემძლე მიწიერი მეფე, მბრძანებელი, რომელიც გაანთავისუფლებდა ისრაელ ერს რომაელთა მონობისაგან, განადიდებდა ებრაელების სამეფოს მთელი ქვეყნის სამეფოებზე, “ღმრთის რჩეულ” მათ ერს აღამაღლებდა სხვებზე, გაავრცელებდა იუდეველთა სარწმუნოებას და სინედრიონის ზეგავლენას მთელ სამყაროზე. მაგრამ მათ არ მოეწონათ თაგძრაბალი და მშვიდი სახე მაცხოვრისა, მისი საუბრები რომელილაც “არა ამქეუნიურ” მეუფებაზე - და თუმცა კი ხედავდნენ, რომ ძალიან ბევრი რამ მოწმობს იმის შესახებ, რომ იგი ჭეშმარიტი მესია, წინასწარმეტყველთა მიერ თქმული - გულით არ უნდოდათ მიეღოთ ეს, რადგანაც არ სურდათ უარი ეთქვათ მათი გულების დამატებობელი მიწიერი, შორსმიმაგალი მოლოდინისაგან და დაკარგეს ყველაფერი!

აი, ახლაც, უკვე მართლმადიდებელ ერთა შორისაც ვრცელდება ცრუპატრიოტული განწყობილება, ბევრი გამოჩენილი პირი, (როგორც საერო, ასევე სასულიერო) პროპაგანდას უწევს რაღაც მიწიერის მოლოდინს, თავისი ერის ამაო განდიდებას, არც რცხვნიათ მისი “ღმრთის

რჩეულად” გამოცხადება, დარწმუნებული არიან, რომ სწორედ მათი ერი გახდება მთელი მსოფლიოსათვის “ლამპარი” სარწმუნოებისა და ა.შ. როგორ დახვეწილად, ვერაგულად, მზაკ-ვრულად და სულის საზიანოდ - საკუთარი ერისადმი კეთილშობილური სიყვარულით შენიღბული იმალება იგივე ამპარტავანება, იგივე ამაო ცუდადმზაობრობა... გვეშინია, რომ ამ შეცდო-მილებამ არ მიიყვანოს ბევრი მართლმადიდებელი ადამიანი ცრუ - მეფის, ცრუ - მესის, ანტი - ქრისტეს თაყვანისცემამდე - როგორც ოდესალაც, ზუსტად იგივე განწყობილებამ მიიყვანა ებრა-ელი ერი ჭეშმარიტი მეფის, მესის, ღმერთის უარყოფამდე!

## ნათლისღება - კარიბჭე ცხონებისა

ნათლობის დროს ადამიანს ცოდვები არა მარტო “მიეტევება” - არა! აქ აღესრულება უფრო მნიშვნელოვანი საიდუმლოება!

უკველი ადამიანი, როგორც დაცუმული ადამის შთამომავალი - თვით ჩასახებისა და შობის-თანავე აღმოჩნდებიან, ვითარცა მათი მამათმთავარი, იმავე წყევის, ღმრთის რისხვის ბეჭდის ქვეშ, ცოდვილი, უარყოფილი, სამუდამო სიკვდილისათვის განწირული. ჩვენი ხორციელი შობა სიკვდილის დასაბამს უფრო გავს, ვიდრე სიცოცხლის დასაწყის... მაგრამ აი - განხორციელებული ღმერთი - ნათელი ჭეშმარიტი გამოჩნდა ამა სოფლად, რათა გადაერჩინა დალუპული ადამიანი, მაგრამ - “სოფელმა იგი ვერ იცნა. თვისთა თანა მოვიდა და თვისთა იგი არა შეიწინარეს” (იოან. 1. 10,11)! ამრიგად, უფალმა ვერ ჰქოვა დედამიწაზე თავისთვის ადგილი “სადა თავი მიედრიკა” (მათ. 8.20; ლუკ. 9.58), უარყოფილი, სასაცილოდ აგდებული, შეურაცხოფილი, შემაძრწუნებელი სიკვდილით დასჯილი - გავიდა ამა სოფლიდან ჯვარცმის მიერ. მაგრამ ეს სიკვდილი მან ნებაყოფლობით მიიღო: იყო რა უცოდველი - მთლიანად თავის თავზე აიღო რისხვა, ღმრთის მართლმსაჯულების მთელი სასჯელი, რომლითაც სამუდამოდ უნდა დასჯილიყო დაცემული კაცობრიობა. მიუხედავად ამისა, სიკვდილს არ შეეძლო უფლის დაკავება თავის ბორკილებში, არ ჰქონდა ძალაუფლება ამ წმიდა - მართალზე და მისი სიკვდილით თვითონ იქნა იქვე დათრგუნვილი!

და აი ქრისტეს ჯვარი ჩვენთვის აღებს ერთადერთ კარებს, რომელსაც ძალუს ჩვენი გაყვანა, ამ საუჯუნო დაღუპისათვის განწირული სოფლიდან მარადიულ ნეტარების სამეფოში. ამასთანავე ჯვარი ხდება განმსჯელი ნიშანი ქვეყანისათვის, ხოლო სასჯელი მდგომარეობს იმაში, რომ “ნათელი მოვიდა სოფლად, და შეიყვარეს კაცთა ბნელი, ვიდრე ნათელი” (იოან. 3.19). ეს სოფელი, რომელმაც არ შეიცნო “უმი მოხედვისა თვისისა” (ლუკ. 19.44) - თითქოსდა გადახაზულია ჯვრით, სრული უარყოფისთვის განწირული, “განკითხვის დღეს ცეცხლისათვისაა დამარხული” (2 პეტრ. 3.7). მაგრამ მათ, რომლებმაც იწამეს ქრისტე, აღიარეს მასში თავისი მაცხოვარი - ძალუდა სრულიდა განერჩნენ იმ წყევას, რომელშიც მოჰყვა მთელი ადამის შთამომავლობა, და იმ მრჩბლ განსჯას, რომელიც დაიმსახურა, ბოროტებაში ბევრად წარმატებულმა ამა სოფელმა. კი მაგრამ რანაირად? - ქრისტეს კვალდაკვალ გასვლით! მაგრამ პირველად საჭიროა უაუნქცევა ამ სოფლისაგან, მისი დამღებულების აღიარება, დარწმუნება იმაში, რომ “უკველივე სოფელსა შინა ესე არს გულის თქმად ხორციად და გულის თქმად თვალთად და სილალე ამის ცხოვრებისად” (1იოან. 2.16), უფრო მეტიც - საჭიროა არა მარტო სოფელი მოვიძულოთ, არამედ “სულიცა თვისი” სოფელსა ამას შინა (ლუკ. 14.26). (ე.ი. მოვიძულოთ ჩვენს სულში ყველაფერი ის რაც გვამონებს ამა სოფელს).

ამიტომაც ვიდრე მიგვახლებით ნათლობის საიდუმლოს, ჩვენ უარვყოფთ და განვაგდებთ სატანას და ყველა მის საქმეს - ე. ი. სოფელსა და ყველა მის ცოდვიან სიამოვნებებს. ამის შემდეგ დავეფლობით უფალთან ერთად ნათლობის საიდუმლოებაში: და როდესაც ადამიანი ასეთი გრძნობებით და ასეთი სარწმუნოებით სამგზის შთავფლობა ემბაზში წმ. სამების სახელით, მაშინ ამ საიდუმლო მოქმედების ძალით, რომელიც თვით უფლისაგან აქვს მოცემული ეკლესიას - ადამიანი, თითქოსდა, ქრისტესთან ერთად კვდება ჯვარზე. “ანუ არა უწყითა, - ამზომს მოციქული - რამეთუ რომელთა - ესე ნათელ-ვიღეთ ქრისტე იქსუს მიერ, სიკვდილისა მისისა მიმართ ნათელ-ვიღეთ?” მის “თანა დავეფლენით ნათლის-ღებითა მით სიკვდილსა მისსა...” (რომ. 6.3,4). ასე რომ - ქრისტეს მიერ ნათელღებულთა უარვყავით რა სოფელი ესე, მთელი მისი

მაცთური სიკეთენი, მომატყუებელი იმედები, მოვიძულეთ რა თვით ჩვენი ცხოვრება ამა სოფელში - თითქოსდა განვედით (გულით და სულით) ამა სოფლის მიერ უარყოფილი, ჩვენი უფლის კვალდაკვალ. თუმცა რა თქმა უნდა: “უკეთუ თანა-ნერგ ვექმნენით მსგავსებასა მას სიკვდილისა მისისასა, ეგრეთცა აღდგომასა მას მისისა ვიყვნეთ”, თუ “მის თანა-დავეფლენით ნათლის-ღებითა მით სიკვდილისასა”, მაშინ - ვითარცა - “იგი აღსდგა ქრისტე მკვდრეთით დიდებითა მამისათა, ეგრეთცა ჩვენ განახლებითა ცხოვრებისათა ვიდოდით”, “უკუეთუ მოვკვდეთ ქრისტეს თანა, გვრწამს, რამეთუ მის თანაცა ვცხონდეთ” (რომ. 6. 4,5,8.).

მიეხლება რა ნათლობის მსურველი წმიდა ემბაზს, უარყოფს იმ ცოდვილს (“ძველ ადამს”), რომელიც აქამდე ცხოვრობდა მასში, ეხლა იგი ქრისტესთან ერთად “ჯვარს ეცმის სოფლისა”, “სოფელი კი მისისა” (გალატ. 6.14), მასში თითქოსდა კვდება უწინდელი ადამიანი, “შეკვდარი კი განთავისუფლებულა ცოდვისაგან” (რომ. 6.7). ამგვარად, ნათელლებულს ცოდვები არა მარტო მიეტევება, არამედ ამ დროიდან მას არც კი შეერაცხება, თითქოსდა არავითარი საერთო არა აქვთ ამ, სხვა, ახალ ადამიანთან! რადგანაც ქრისტესთან ამ შეერთებაში მისი სიკვდილის მეშვეობით - სულიწმიდის მადლით ნათელლებულში, თითქოსდა ჩაისახება ყრმა, “ახალი დაბადებული” (2 კორ. 5.17; გალატ. 6.15), სიარულის დაწწყები “განახლებულ ცხოვრებაში”. ამის შემდეგ ადამიანი აღარ ცხოვრობს მთლიანად ამ ქვეყანაზე, არამედ მხოლოდ ნაწილობრივ ეხება მას - ელოდება, ემზადება უფლის შეწყარებისათვის, მისი უზრუნველი მეუფებისათვის. ამგვარად - ნათლობის წმიდა ებბაზი “საფლავიცა” და “დედა ეკლესის წიაღიც”: აქ კვდება ძველი ადამიანი, იბადება ახალი, იგი უარყოფს განხრწნადს - იღებს, უამრავ უხრწნელ სიკეთესთან მიახლების უფლებას! ამიტომაცა, რომ ეს საიდუმლოება “ცოდვათა მიტევების” საიდუმლოდ კი არ სახელდება, არამედ “ნათლისღების”, “მეორედ შობის” საიდუმლოდ, “კვალად შობის საბანელად”!

## “მსხვერპლი” თუ მკრეხელობა?

ჩვენს ერში გავრცელდა უცნაური ჩვეულება: ბევრ ადამიანს, რომელნიც თაგს ქრისტეანებად თვლიან, დღესასწაულებზე ტაძრებთან მოყვით ცხოველები, ასრულებენ მათზე რაღაცნაირ რიტუალებს, კლავენ, ჭამენ, სვამენ და მისის, აწყობენ ხმიარულებას და ამას ეძახიან “ღმრთისადმი მსხვერპლშეწირვას”, დაკლულ ცხოველს კი “საღმრთოს”. ბიბლიაში, ძველ აღთქმაში მართლაც არის მინიშნებული, ებრაელებისადმი მიცემული, კანონი - ღმრთისადმი ცხვრებისა და ხბოების მსხვერპლად შეწირვა: მაგრამ ამ მინიშნებას თავისი მიზანი ჰქონდა - ღრმად შთაევონებინა ხალხისათვის ის გაგება, რომ უდანაშაულო მსხვერპლის სისხლს, მის წამებას ძალუებს განწირდოს, განთავისუფლოს ცოდვისაგან ის, ვის გამოც იგი იყო შეწირული. ეს იყო წინასახე იმ მსხვერპლისა, რომელიც განხროლციელებულმა ეკიდნება ღმრთისამ გოლგოთაზე გაიღო ადამიანთა ცოდვებისაგან გამოსასყიდად - და თუ ძველი აღთქმის მსხვერპლშეწირვას ჰქონდა კიდეც რაიმე განწმედელი ძალა - იღებდა მხოლოდ იმ მსხვერპლისაგან, რომლის წინასახეც იყო იგი. იმის შემდეგ კი რაც ჩვენ გართ გამოსყიდული ქრისტეს, ამ “სოფლის ცოდვათა აღმხმელი ტარივის” უწმიდესი სისხლით (იოან. 1.29) - ეკლესიაში ყოველგვარი სისხლიანი მსხვერპლშეწირვა დაუშვებელია! ისინი კი, რომელნიც დღესაც ფიქრობენ ღმრთისადმი მსხვერპლის შეწირვას თხებისა და ცხვრების სისხლით - თვით ამითი ამჟღავნებენ, რომ არ აღიარებენ ქრისტეს მსხვერპლის ძალასა და მნიშვნელობას, ე.ი. იუდეველებთან ერთად უარყოფნ ქრისტენობას!

მეორე მსრივ: ყოველი გონიერი ადამიანისათვის ნათელია ის, რომ ღმერთს არ ახარებს ცხოველთა კვლა, არ ტკბება ის დაღვრილი სისხლით. ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში უფალი მეფესალ-მუნე დავით მეფის პირით ამბობდა: “ნუ ვჭამოა ხორცი ზგარავთად ანუ სისხლი ვაკთად ვსვაა? შესწირე ღმრთისამ მსხვერპლი ქებისაა” (ფს. 49). ებრაელებს კი მიჰყავდათ ტაძარში ცხოველები დასაკვლელად - მაგრამ ეს იყო სიმბოლო: წვავდნენ რა საკურთხეველზე ან მთლიან საჯონელს, ანდა მის საუკეთესო ნაწილს - ამით ისინი გამოხატავდნენ, რომ სწირავენ ღმერთს თავიანთ მთავარ გულისთქმას. უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტეანებს ყოველთვის ქონდათ წესად, თავიანთი შრომის საუკეთესო ნაწილის ღმრთისადმი შეწირვა; მაგალითად მიწათმოქმედს

ტაძართან მოპქონდა\* ნაყოფები, მეფუტკრეს თაფლი ან ცვილი, მევნახეს - ღვინო ან ყურძენი, მწყემსს ცხვარი. ეკლესიაში არსებობს განსაკუთრებული ლოცვები: “ახალ თაფლზე”, “ახალ ღვინოზე”, “ახალ ხილზე” და ა. შ. აგრეთვე არის ლოცვა ცხოველის დაკვლაზეც. ეს შემოწირულობანი ნაწილობრივ ეძლეოდათ ტაძრის მსახურთ, ნაწილობრივ დარიბებს, ნაწილი კი, როგორც კურთხევა მიპქონდათ სახლში შემომწირველთ. ამგვარად იკურთხებოდა მთელი მათი შრომა. მხოლოდ ასეთი აზრით ცხოველის დაკვლას შეიძლება ერქვას “მსხვერპლი” ე.ი. ღმრთისადმი შეწირული ძღვენი. მხოლოდ ასეთი სახითაა მიღებული ის ეკლესიაში. ეხლა კი - ტაძრის ირგვლივ შემოატარებენ ცხოველს, კლავნენ, წვავნენ, მადიანად შეექცევიან, უხვად აყოლებენ ღვინოს, მთვრალი ყვირილით იკლებენ გარემოს - და დარწმუნებულნი არიან რომ “მსხვერპლი შესწირეს” ღმერთს. ეს - მკრეხელური დაცინვა უზენაესისა!

და კიდევ: ისუ ქრისტე ეუბნება თავის მიძღვართ: “ეკრძალენით თავთა თქვენთა ნუუკე დამძმდნენ გული თქვენი შევბითა (სლავურში “ნაყროვანებითა”) და მთვრალობითა” (ლუკ-21.34) - აქ კი ეგრეთწოდებული “ქრისტეანენი” უზომოდ ჭამენ ხორცს, თვრებიან ღვინით, უწესოდ მხიარულობენ - ამავე დროს ფიქრობენ, რომ ამით სათხო ეყვნენ ღმერთს...

ამის გარდა: ეს “ხორციანი” ნადიმები ძალიან ხშირად იმართება საეკლესიო დღესასწაულებზე, (განსაკუთრებით წმ. გიორგის დღეს) - თუმცა ეკლესის კანონების მიხედვით, ყოველთვის, ყველა დღესასწაულზე როდი შეიძლება ხორცის ჭამა. გამოდის: საეკლესიო დღესასწაულებს იღებენ, ეკლესის განჩინებებს კი, რომლებიც ექცება ამ დღებს - უაყოფენ!

კანონების მიხედვით: ტაძარში ხორცის შეტანა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგანაც აქ აღსრულება “უსისხლო მსხვერპლშეწირვა” - ევერისტია.

მიუხედავად ამისა, ბევრი, ეკლესის ან მონასტრის ეზოში კლავს ცხოველს, ზოგჯერ სისხლს ტაძრის კედლებზე ასხამენ, მის კარებთან ყრიან თავებსა და ჩლიქებს, ზოგიერთს შიგნითაც კი შეაქვთ ხორცი ან სისხლი: ყოველივე ეს, რაღაც წარმართული რიტუალებით თანხლებული, მოგვაგონებს სატანისტების “მესას”, რომელსაც ყოველთვის თან ერთვის ქრისტეანული სიწმიდის შერყვნა - რის გამოც ეშმაკ უწევს მათ თავის “სამსახურს”.

ამას დაუმატოთ: თავიანთი მთვრალი ხმაურიანი ორგიებით ეს ცრუ ქრისტეანები ხშირად არ აძლევენ საშუალებას ჭეშმარიტ ქრისტეანებს წმიდა დღესასწაულების დროს მიიტანონ ტაძრებში, შინაგანი სიმშვიდით, ნამდვილი ღმრთის სათხო “მსხვერპლი ქებისაა” - გულითადი ლოცვინი, სინანული, დიდება, მაღლობა, საზეიმო საგალობელი, ხელს უშლის პათ შშვიდი გულით და გაუფანტველი გონებით ქრისტეს წმიდა საიდუმლოებებთან მიახლებაში...

ასე რომ: ამ “მსხვერპლშეწირვებს ჩვენს მართლმადიდებლურ სარწმუნოებასთან არავითარი ურთიერთობა არა აქს, ეს რაღაც საშინელი კარიკტურაა ქრისტეანობაზე - თითქოს ეშმაკი ამ ხალხის დახმარებით, როგორც მრუდე სარკეში ცდილობს დაამაზინჯოს ყოველივე ის, რაც წმიდა და და ძვირფასია ქრისტე - ღმერთის ჭეშმარიტი თაყვანის მცემელისათვის. ეს წარმართობის აღორძინებაა, მაგრამ ქრისტეანობის სახელს ამოფარუბული. აქ თაყვანის ცემა, მაგრამ არა ჩვენი ღმერთისა, არამედ იმ ღმერთისა, რომლის სახელი “მუცელია” (როგორც ამბობს პავლე მოციქული ფილიპ. 3.19). და ვაი, - იმ “მწყემსებს”, რომელიც ხედავენ ერის ამ ცდომილებას, მაგრამ არ გამოყვეთ ის საშიში უფსკრულიდან, არ აჩერებენ, რამეთუ სწადიათ “თავიანთი თავის დამწყემსვა და არა მათთვის ჩაბარებული სამწყსოსი” (წმ. იოანე კრონშტადელის სიტყვები მომავალ მღვდლებზე). და აი, მათი მთავარი მამხილებელი საშინელ სამსჯავროზე იქნება წმ. დიდმოწამე გიორგი, რომელმაც თავისი სკუმაწვილე შესწირა კეთილსურნელოვან მსხვერპლად ღმერთს და გამოგვიცხადა ჩვენ ქრისტეანობის ძლევის ნიშანი წარმართობაზე.

წმიდაო გიორგი! დაქმარე ჩვენს ერს, რომ განთავისუფლდეს ეშმაკის ამ ხიბლისაგან! ამინ!

**საღ ვეძიოთ ჭეშმარიტი თავისუფლება?**

ერში ხშირად ისმის შეძახილებით თავისუფლების შესახებ: ხალხი ყვირის, იქნებს ხელებს, ითხოვს თავისუფლებას! მაგრამ ვინ წაართვა იგი? ვის ძალუს დაუბრუნოს? ეხლა ყველა მმართველი პირობას დებს, რომ დაიცავს თავისი ერის უფლებებს, სახელმწიფო თავს იქებენ ლიბერალიზმით, მათი იდეალი - ამერიკა, მისი სიმბოლო - თავისუფლების ქანდაკება... მიუხედავად ამისა - ყოველი ადამიანი უფრო მეტად გრძნობს ამ ქვეყნაზე ყოველი მხრიდან შევიწროებას, შეზღუდვას, აკრძალვას, დამოკიდებულებას. რა არის ამის მიზეზი? იგი უბრალოა!

ღმრთისაგან ნეტარებისათვის შექმნილ ადამიანს - სამოთხეში ჰქონდა სრულიად ყველაფერი, ის რაც კი შეეძლოთ ესურვათ მის წმიდა სამშინველსა და სხეულს საამო ცხოვრებისათვის, მის სულს კი სწყუროდა ღმერთთან სულიერი ურთიერთობა, მხოლოდ მასში შეეძლო ებოვა სიხარული, თავისი არსებობის აზრი და მიზანი - და ესეც მას ჰქონდა გახსნილი. მაგრამ არასწორად გამოიყენა რა თავისუფლება, ადამიანი დაეცა, ამის შემდეგ შეწყდა ღმერთთან მადლისმიერი ურთიერთობა. მიწა დაწყევლილია და აღარ აღმოაცენებს ადამიანისათვის მის მასაზრდოებელ ნაყოფს, ვიდრე იგი “ოფლითა პირისა მისისათა” არ მოიპოვებს თავისთვის არსებობის პურს. ადამიანის სული დაემონა ხორცს, ამჟამად ის ეძებს თავის ყველა უსასრულო სურვილების დაკამყოფილებას შეზღუდულ მატერიალურ სამყაროში. ეს სულის სურვილები, ნივთიერისადმი მიმართულნი, გადადიან აკადმყოფობაში, ბუნებრივი მოთხოვნილებანი გარდაიქმნებიან ვნებებად. და აი - იმყოფება რა გზააბეჭული ადამიანი ესიორიობაში, ამ ციხეში, განიზრახავს იმის ძიებას, რაც დაკარგა სამოთხეში: ოცნებობს მოიწყოს თავისთვის სამეფო პალატნი, გააშენოს თავისი “ედემის” ბაღი, სწადია სიყვარული, ძალაუფლება, სიმდიდრე, სიტკბოება. მაგრამ ამ ქვეყნაზე რომ მიაღწიოს ამას, სადაც ლუკმაპურიც კი არ მოიპოვება შრომისა და ოფლის გარეშე - ხალხი ცდილობს დამონონს მოყვასი, მოატყუოს მეზობელი, გაძარცვოს გამვლელი. ადამიანისათვის ბუნებრივია არა მცირე, არამედ უდიდესი განსვენების, უსაზღვრო ბეჭნიერების წარდილი და ძიება! ეძიებს რა ამას დედამიწაზე, ის იძულებულია თავის მოყვასთან მუდმივ ბრძოლაში იმყოფებოდეს, რადგანაც აქ შეუძლებელია იყოს ბეჭნიერება - შეზღუდულ სამყაროში - არის მხოლოდ უსაზღვროს სააგნი. და, აი, ამ ბრძოლას ვერდავთ ყველგან - ბაგჟვებს შორის, უფროსებს შორის, მშართველებს შორის! ასე რომ, ამ ქვეყნად შეუძლებელია იყოს ჭეშმარიტი თავისუფლება!

ქრისტეანები სხვაგარად ეძიებენ თავისუფლებას! როგორც ვხედავთ - უფალი იესუ ქრისტე არ ასწავლის ებრაელებს რომაელების შევიწროებისაგან განთავისუფლების ძიებას, რომელიც მათ ასე უმძიმთ, არამედ ბრძანებს “მიცემად კეისრისა კეისარსა”, მოციქული ჰპოდღვრის მონას, რომელმც მიიღო ქრისტეანობა არ დამწუხრდეს მონობის გამო, და თუ მას შეუძლია კიდევ განთავისუფლდეს - ურჩევს ამჯობინოს მონობა, ამბობს რა, რომ მონა - ქრისტენი ქრისტეში უკვე განთავისუფლებულა, თავისუფალი კი - მონაა ქრისტესი (1 კორ. 7.21). ცხადია, რომ ქრისტეანებს არ უნდა ეშინოდეთ იმისა, რომ ხალხი, გარემოება, მთავრობა შეზღუდვენ მათ გარეუნულ თავისუფლებას (ისინი ხომ არ თვლიან ამ ქვეყნას თავიანთ ნამდვილ სახლად, დროებით სამყოფელში კი რად არ მოვითმინოთ შევიწროება, როგორც ამას ითმებს შორეული ქვეუნიდან საკუთარ სახლში მიმავალი ადამიანი, რომელიმე გზაზე მდებარე სასტუმროში). ჩვენ უნდა და გვეშინოდეს სხვაგარი მონობისა - ცოდვის მონობისა, სწორედ, რომ ცოდვა გვპირჭავს ჩვენ, გვართმევს თავისუფლებას, გვაიძულებს ვიმყოფებოდეთ ჩვენივე უაზრო სურვილების ასასრულებლად აუტანელ მონობაში. ვინც სძლია თავის თავში ამა სოფლის მატყუარა სიხარულთან მიჯაჭველობას, ვინც ჯვარს უკავ ქრისტესთან ერთად, ვისი გულიც აღტაცებულ იქნა ზეცირერის, მარადისობის მიმართ სიყვარულით - მას არ ეშინია დაკარგოს აქ რაიმე დროებითი, მზადაა დაუთმოს სხვებს მიწიერი სიკეთენი: ის “უძლურებათა, გინებათა, ჭირთა, დევნულებათა და იწროებათა შინა ქრისტესთვის” - გულმრავარულია (2 კორ. 12. 10), ჯაჭვებს შინაც და ბორკილებს შინაც - თავისუფალია, რადგან თავისუფალია მისი სული ამა სოფლისაგან. მისთვის “ცხოვრება ქრისტე არს, და სიკეთელი - შესაძინელ”! (ფილიპ. 1.21).

ასე რომ; არის ჭეშმარიტი თავისუფლება - ქრისტეში! და არის თავისუფლების ქიმერა - ის, რომელსაც მეფისალმუნე დავით მეფე ეძახის “თავისუფლებას მკვდართა თანა” (ფს.87) \* - თავისუფლება ცოდვილისა ცოდვიდეს სხვებთან ერთად - საუკუნო დაღუპვისათვის განწირულებთან,

ცოცხლად მკვდრებთან! უფრო ხშირად ადამიანები, რომლებიც მოთხოვნით გაჰყირიან ქუჩებში “თავისუფლებას”, სურთ სწორედ ეს - “თავისუფლება მკვდართა თანა”.

ჩვენ კი გვახსოვს სახარების სიტყვები: “უკეთუ სცნათ ჭეშმარიტება, ჭეშმარიტებამან განგა-თავისუფლების თქვენ”, “უკეთუ ძებან განგათავისუფლების, ჭეშმარიტად თავისუფალ იყვნეთ” (იოან. 8. 32,36). ამინ.

## საკმეველსა შევსწირავთ შენდა, ქრისტე ღმერთო ჩვენო

ტაძარში კეთილმოშიშებით აღესრულება ომრთისმსახურება: წმიდა გამოსახულებათა წინ წყნარად ციმციმებენ ანთებული კანდლები, შანდლებზე იწვის უამრავი სანთელი, მგალობელთა გაწყობილი ხმები, რომელიც განადიდებენ ღმერთს - მიწისა და ცის შემოქმედს - აღიწევიან გუბბათისაკენ. თავიანთ გულებში ჩაღრმავებულნი მორწმუნენი ყურადღებით უსმენენ წმიდა სიტყვებს; თითოეულმა მათგანმა მოიტანა აქ თავისი სიხარული და ტკივილი, მადლიერება და თხოვნა, ძიებანი და მოპოვებანი - და ქლა მდუმარედ, ამ თავიანთ გულითად ღალაზს უერთებენ ცისკენ აღმავალ სულიერ გალობას. აი გაისმის საკურთხეველში სასაკმევლის ზარების მსუბუქი რეკა და სულ მალე გამოდის მდვდელი, რომელიც ზომიერად აქნეს საცეცხლურს წმიდა გამოსახულებათა წინ. მთელს ტაძარში სასიამოვნო კეთილსურნელება იფრქვევა - ანუგეშებს, ამხნევებს, ახარებს სულს. მაგრამ რისი სიმბოლოს მატარებელია ეს, მდვდლის მიერ საცეცხლურით საკმევლის კმევა? რა თქმა უნდა, ღმრთისმსახურების სხვადასხვა მომენტში კმევას ეძლევა განსხვავებული სიმბოლური მნიშვნელობა. ერთ-ერთი მათგანი შემდეგია:

საკმეველი, რომელიც შეიცავს კეთილსურნელებას - ეს ის ფარული რელიგიური განცდებია, რომელიც გულის სიღრმეში ქრისტეანებს მოაქვთ ეკლესიაში - აქ სინანულიცაა და მადლიერებაც, სიმდაბლე, ვედრება, თხოვნა, სიყვარული და სხვა მრავალი კეთილშობილური გრძნობა, ღმრთისაკენ მიმართული. რამდენ მწუხარებაში, შრომაში, ბრძოლაში, განსაცდელში, რომლებითაც შევიწროებულია ამ ქვეყანაზე ქრისტეანის ცხოვრება - იშვნენ ეს განცდები; ასევე საკმეველიც შედგება კეთილსურნელობანი დღვილისაგან, მდელოებზე დიდი შრომით მოგროვებული მრავალ ყვავილთა არომატისაგან. სიმბოლურია ისიც, რომ ძველად საკმეველი თვით მორწმუნებს მოპქონდათ ტაძარში.

საცეცხლური, რომელიც ხშირად ტაძრისა ფორმისა კეთდება - ასიმბოლოებს ეკლესიას; მისი ოქროს გარაუ, მორთულობა, ზოგჯერ ემალით ან ძერფასი ქვებით - სახეა ჩვენი ეკლესის დიდებისა და დიდებულებისა. საცეცხლური შედგება ორი ნაწილისაგან - ისევე როგორც ერთი კათოლიკე ეკლესია, რომელიც ნაწილობრივ ჯერ კიდევ დედამიწაზე “მებრძოლი”, ნაწილობრივ კი უკვე ზეცაშია “მოზეიმე”. დაგვირგვინებული ჯვრით, ეშვება მდვდლის ხელიდან სამი მოოქროვილი ჯაჭვის საშუალებით, ასევე წმიდა ეკლესია - არა ამქეუყნიურია, დედამიწაზე იგი - ზეციდანაა, თითქოს თვით ცა მოიდრიკა მიწისაკენ, თითქოსდა ოქრის კიბე, მიწიდან ზეცად აღმყანებელი, რომელიც უპყრია სამერთი ღმრთის მაცხოვნებელ მარჯვენას.

გახურებული ხის ნახშირი - ჩვენი მართმადიდებლური სარწმუნოებაა, რომლის მთავარი ცენტრი - ცხოველსმყოფელი ჯვარია, მასზე ჯვარცმული უფლით, ძელი, რომელსაც ეკლესია მარადე ალტრბს მხურვალე ცრემლით, სიყვარულის ცეცხლით მოიცავს ჩვენთვის ჯვარცმულს. სწორედ ამ ძელზე ღმრთის ძის სიკვდილმა მოვგვადლა ჩვენ წმიდა (ცეცხლი - მადლი სულისა წმიდისა. აი ამ “ნაკვერცხალზე” (მადლით ალაგუს სარწმუნოებაზე) წმიდა ეკლესია დებს “საკმეველს” - ქრისტეანთა გულის ღალადს. თვით მორწმუნებს ხშირად არ შეუძლიათ, ან არ გააჩინათ კადნიერება ამაღლებული სიტყვებით, სასულიერო გამოთქმებითა და ფორმებით შემოსონ თავინთი ლოცვითი გრძნობები. ეკლესია კი სიმბოლური მოქმედებებით, ძველი ღმრთისმსახურების წესჩვეულებით, გალობით, ფსალმუნებით, ჰიმნებით, ღრმა პოეტური სახეებით, წმიდა გამოსახულებებით - მთელი თავისი ლოცვითი ცხოვრების წესით - ან აღიარებს დოგმატებს, ან აღავლენს ქებას, ან შესწირავს თხოვნას, ან მადლობს მონიჭებული წყალობი-

სათვის - შეუძლებელობს ლმრთის წინაშე ტაძარში მდგომ ყველა მლოცველზე. ეპლესია თავისი ღმრთისმსახურების მეოქებით, თითქოსდა აღმართავს მორწმუნეთათვის მაღალ კიბეს ზეცისაკენ, უხსნის კარებს უზენაესი ღმერთის საყდრისაკენ, რომელშიც შემავალნი ადვილად იქნებიან შესმენილნი, მიღებენ წყალობას, შესძლებენ მოიხვეჭონ სულიწმიდის მაღლი.

წკრიალა ხმით მოთამაშე საცეცხლურის ზარები - ეს მთელი ის „მხიარულ-მწუხარე“ გალობაა, რომელსაც დღედაღამ აღავლენს თავის საყვარელ ზეციურ სიძისადმი სხალი ეკლესია...

და აი საცეცხლურიდან წმიდა სახეებისაკენ აღიწევა საკმევლის კეთილსურნელება, რაც სიმბოლურად წარმოადგენს ღმრთისათნო ერთად შერწყმულ, „სულიერ სურნელებაში“ მრავალი არმატისაგან მდიდრად შეერთებულ ტაძარში მდგომ ყველა მორწმუნის ლოცვას. ხოლო „სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა“, „უკეთუ ორნი თქვენგანნი შეითქვნენ კეყყანასა ზედა ყოვლისათვისვე საქმისა, რომელიცა ითხოონ, ეყოს მათ მამისა ჩემისაგან ზეცათავასა“ - ამბობს უფალი (მათ. 18, 19, 20). რა თქმა უნდა, შეთანხმებული ერთ კეთილსურნელებაში ეკლესის ლოცვა შეუძლებელია არ იყოს მიღებული ზეციურ საკურთხეველთან. და რა ბევრს კარგავს ადამიანი, როდესაც არ მოაქვს ტაძარში თავისი „საკმეველი“ და არ დებს მას ეკლესის ანთებულ „საცეცხლურზე“!

ყოველივე ზემოთქმულს მოიცავს მღვდლის ლოცვა, რომელსაც იგი წარმოთქვამს კმევის დაწყების წინ: „საკმეველსა შესწირავთ შენდა, ქრისტე ღმერთო ჩვენო, საწისელად სუნელებისა სულიერისა, შეიწირე შენსა ზეცისა საკურთხეველსა, და ნაცვლად გარდამოგვივლინე ჩვენ მადლი სულისა შენისა წმიდისა“.

ამინ!

## წმ. ლიტურგიაზე ჩვენი ახლობლების მოხსენიების შესახებ

ყოველმა მორწმუნებ (მათ შორის დამწყებმაც) იცის რაოდენ მნიშვნელოვანია ახლობელ ადამიანთა, როგორც ცოცხალთა ასევე მიცვალებულთა მოსახსენებლის შეგზავნა საკურთხეველში (წმ. ლიტურგიაზე მოხსენიებისათვის). მაგრამ ყველას კარგად როდი ემის რა ხდება ამ მოხსენიების დროს. ლიტურგის მზადებისას, მღვდელი ფეშუმზე ასვერებს სეფისკვერიდან ამოღებულ პურის ნაწილს, რომელიც განასახიერებს ჩვენთვის ჯვარცმულ თვით უფალ იესუ ქრისტეს, მარჯვენა მხარეს ათავსებს ნაწილს ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სახელზე, მარცხენა მხარეს - წმ. ანგელოზთა\* და ეკლესის ყოველთა წმიდათა პატივად, ხოლო ქვემოთ - ნაწილებს ცოცხალ და მიცვალებულ მართლმორწმუნე ქრისტეანეთა მოსახსენებლად. როგორც მე-15 საუკუნის მოღვაწე მამა, წმ. სვიმეონ თესალონიკელი ამბობს: „ამ ღმრთაქმრივ სახესა და მოქმედებაში, გარკვეული სახით, თვით იქსეს ხედავთ და მთელ მის ერთიან ეკლესიასაც ვჰვრეტი... აქ უდიდესი სიიდუმლოა - ღმერთი ადამიანთა შორის და ღმერთი ღმერთთა შორისაა, რომელთაც მიღეს განმორთობა ჰეშმიარიტი ღმერთის მიერ. აქ - მომავალი სუფევა და მარადიული ცხოვრების გამოცხადებაა“. და აი, წმ. ლიტურგის დროს, რომელიმე ქრისტენისათვის ამოღებული ნაწილი წარმოადგენს თვით ამ პიროვნებას და მისთვის აღესრულება ღმრთისადმი მსხვერპლის შეწირვა. ეს ნაწილი თავსდება ფეშუმზე, უფლის ყოველადწმიდა ხორცის გვერდით, ჩაეშვება ბარძიმში, განიპოხება საღმრთო სისხლით და, სიწმიდითა და სულიერი ნიჭით აღვსილი, მაღლს გარდამოუკლენს მას, ვისი სახელისთვისაც შეიწირება; როგორც წმ. მამები ამბობენ: მიმაღლებს განწმედას, ცოდვათ მიტევებას, უბედურებათაგან დაცვას, ხორციელ და სულიერ სიჯანსაღეს და საერთოდ, მრავალ სარგებელს. მაგრამ როგორც წმ. სვიმეონი ამბობს (გარძელებულ ზემოთ მოყვანილ სიტყვას): „აქ ადგილი არა აქვთ ურწმუნოება და სხვაგარად მოაზროვნებს. ამიტომ, საერთოდ, მღვდელმა არ შეიძლება შესწიროს ნაწილები არამართმადიდებელისათვის ან აღასრულოს მისთვის სხენება. ასევე არ შეიძლება ნაწილის შეწირვა მისთვის, ვინც აშეარად სცოდავს და მოუნანიებლად ცხოვრობს: ვინაიდან ეს შეწირვა სასჯელის მიზეზი იწევბა მისთვის, ისევე როგორც სასჯელის ღირსი ხდება ის, ვნც სი-

## მოყვასის სიყვარული

ხალხი ხშირად საუბრობს მოყვასის სიყვარულზე, მაგრამ რას ნიშნავს ნამდგილად გიყვარდეს სხვა ადამიანი? გიყვარდეს — ნიშნავს სხვასთან ერთად გსურდეს ბედნიერებით ტკბობა. ყოველ ადამიანს აქვს ბუნებრივი მოთხოვნილება მისისწავლიდას უსაზღვრო სიყვარულისაკენ, ბედნიერებისაკენ, ე. ი. კეთილდღეობისაკენ. ასევე ბუნებრივია ჩვენი გულისათვის სხვა მსწრაფებაც — ამ სიხარულის ახლობლებთან ერთად გაზიარება. თავისთავად ყველამ იცის, რომ როდესაც მის ცხოვრებაში ბედნიერი წუთები დგება, როცა უკარად ჰპოვებს რაღაცა ძალიან კარგს, სასიამოვნოს, ლამაზს — მაშინვე ჩნდება ახლობლების, მეცობრების, ნათესავების მოხმობის სურვილი — მათთან ერთად გაიზიაროს ეს სიხარული. მაგრამ აი - ღმრთისაგან განდღომის შემდეგ, ადამიანებმა აღარ უწყიან თავისთო ჭიშმარიტი ბედნიერება. ადამიანი შემოქმედისაგან იმისათვის იყო შექმნილი, რომ სიხარულსა და სიცოკხლის სისახსეს, სულიერ გამდიდრებას ჰპოულობდეს ღმრთში, მაღლისმიერ ერთობაში ღმრთთან და მასში მოყვასთან:

მხოლოდ ღმერთში შეეძლო ადამიანს შეეძინა ჰეშმარიტი ბედნიერება, ყველა შინაგან სურვილთა აღსრულება. დაკარგა რა ეს ორიენტირი, ადამიანი ჰეშმარიტი სიკეთის ჩანაცვლებას წარმავალ სამყაროში, ადამის ცოდვის გამო დაწყევლილ (დაბ. 3-17), განკითხვის დღეს ცეცხლისათვის გამზადებულ მიწაზე (2 პეტრ. 3-7) დაუქებს. ახლა კაცთავან ერთი თავის ბედნიერებას სიმდიდრეში ხედავს, მეორე - ამაო დიდებაში, მესამე - აქტორცობაში, სხვა - პატარა ობივატელურ სიმშვიდეში, თბილ “ოჯახურ ბუდეში”... შესაბამისად, “უყვართ რა” ახლობელნი, ცდილობენ მათ ჩაბმას ამ კეთილდღეობის ილუზიის დევნაში, აიძულებენ მათ გონიერებასა და გულს დამორჩილდნენ უნაყოფო ფუსტუსს, რომელსაც საბოლოოდ მხოლოდ იმედგაცრუება მოაქებს. თვით მოტყუებულნი, ისინი ნრისხდებიან “საყვარელ” ადამიანებზე, როცა ისინი არ თანაუგრძნობენ მათ ბრძოლას კეთილდღეობის ამ ქიმერისათვის.

დაცემული ადამიანი კვლავ ინარჩუნებს სიყვარულის მოთხოვნილებას, მას ისევ შეუძლია „თავგანწირვით“ იზრუნოს ძვირფას ახლობელზე, არ დაიშუროს ძალა, ზოგჯერ სიცოცხლეც, რომ მოიპოვოს მისთვის ის, რასაც „ბედნიერებად“ მიიჩნებს. მაგრამ თუ თვითონ ბედნიერებად თვლის იმას, რაც სინამდვილეში ჰეშმარიტი, საუკუნო კეთილდღეობის გზას განაშორებს და მასთან მიახლების საშუალებას ართმევს - მაშინ რა არის ეს „სიყვარული“ თუ არა დამღუპველი სატანური საცდუნებელი? თითქოს მავანი განცხრომით მიირთმევს სასიკვდინო შხამით მოწამლულ კერძს, თვითონ ვერ ამჩნევს ამას და ძმობის და სიყვარულის გრძნობით აღვსილი მეგობრებს უხმობს ტრაპეზის გასაზიარებლად - აი სახე მიწიერი, არასულიერი სიყვარულისა!

ამგვარად, იმისათვის, რომ ჰეშმარიტად, ღმერთში გვიყვარდეს მოყვასი, მისთვის ნამდვილი სიკეთის მოსატანად, ვალდებული ვართ, უწინარესად, კარგად გვესმოდეს, სწორად ვეძებოთ საკუთარი ბედნიერება, გარდა ამისა, უნდა ვისწავლოთ საკუთარი თავის სწორი სიყვარული! დიახ, ჩვენ გვიყვარს საკუთარი თავი, მაგრამ ამა სოფელში, გვსურს მიწიერი სიკეთენი, მიწიერი დიდება, მიწიერი წარმატება, წარმავალ წუთისოფელში ვეძებთ სიმშვიდეს, ნუგეშს, სიხარულს. მარადისობისათვის არ გვიყვარს საკუთარი თავი: მომავალი საუკუნის ცხოვრებას თითქმის არ ვიხსენებთ, ცხონებისათვის, შეწყალებისათვის, ცოდვისმიერი სიკვდილისაგან დახსნისათვის უგულოდ ვლოცულობთ, ზეციური სამეფოს დაუსრულებელ კეთილდღეობაზე ოდნავ თუ ჩავთვიქრდებით. ხშირად ჩვენი სამუდამო ხვედრის შიშის გარეშე ვაკეთებთ იმას, რაც განგვაშორებს ღმერთს, საუკუნო ნეტარებას, იმას, რაც გაუზელებელი ტანჯვისათვის გაწირვით, დაუსრულებელი ბედნიერების წართმევით გვემუქრება. მაგრამ ჩვენ ყოველდღიურად, უშვოოთველად ვეწაფებით ამ მომაკვდინებელი სასმელით საქსე თასს, ჩვენივე სინდისის მრისანე გაფრთხილების მიუხედავად...

ამ სავალალო მდგომარეობაში შევძლებთ კი წმიდად დაუკვათ უფლის მცნება “გოყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი” (მათ. 22-39)? სამწუხაროდ, ბევრ ჩვენგანს უნდა ვთხოვოთ არ ავნონ მაინც მოყვასს, როგორც საკუთარ თავს ვნებენ. მაშ ასე, უპირველესად მოყვასში პატივი მივაგოთ ღმრთის სატებას, გვეშინოდეს არ ვაკუდუნოთ იგი, მის სულიერ ძიებას ვსცემ პატივი, გავთრთხილდეთ ღმრთისკენ საგალ გზას არ ავაცდინოთ, მიწიერი, ცოდვიაზი განწყობა არ ვადავცეთ, არ ჩავუნერგოთ ჩვენი მცირედმორწმუნეობა, სულმოკლეობა, ხორციელი სიბრძნე, ჩვენი ნელთბილიბით არ გავანელოთ მისი მოშურნეობა, ზეციურ მისწრაფებას არ მოვწყვით წარმავალ სიხარულთა შეთავაზებით. ჩვენი სულიერი ცხოვრების საწყის დონეზე ეს იქნება სწორი დასაწყისი ამ მეცნიერების დასაუფლებლად: ქრისტეში გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი!